


2017



საქართველოს სახალხო დამცველი

ადამიანის უფლებათა
მდგომარეობა დახურული
ტიპის დაწესებულებებში

პრევენციის ეროვნული მექანიზმი



www.ombudsman.ge

სარჩევი

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი.....	2
2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა.....	4
3. პენიტენციური სისტემა.....	12
4. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა.....	25
5. მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან	37
6. ფსიქიატრიული დაწესებულებები	41
7. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში და რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა განთავსების დაწესებულებებში	51
დანართი 1 - დამატებითი სტატისტიკური მონაცემები პენიტენციური სისტემის შესახებ	56
1.1. პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულის დაზიანებათა რაოდენობა.....	56
1.2. პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობები	57
1.3. პენიტენციური დაწესებულებების სოციალური სამსახურის შემადგენლობა.....	60
1.4. დისციპლინური პასუხისმგებლობა პენიტენციურ დაწესებულებებში.....	61
1.5. წახალისება პენიტენციურ დაწესებულებებში.....	62
1.6. პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე.....	62
1.7. კავშირი პატიმრობის ხანგრძლივობასა და პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის.....	64
1.8. ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმირებულობა.....	64
1.9. ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმირებულობასა და ჯანმრთელობის თვითშეფასებას შორის კავშირი.....	65
1.10. პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიატრის კონსულტაციას	65
დანართი 2 - დამატებითი სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ .	66
2.1. საექვო შემთხვევების ხვედრითი წილი იზოლატორების მიხედვით	66
2.2. საექვო შემთხვევების ხვედრითი წილი იზოლატორებში წლების მიხედვით	67
2.3. პრეტენზია პოლიციის მიმართ წლების მიხედვით	69
2.4. პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა	69
დანართი 3 - ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობების ამსახველი ფოტო მასალა	70

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) შესახებ

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (შემდგომში ასევე ფაკულტატური ოქმი) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფლება აღკვეთილ/შეზღუდულ პირთა დაცვის გაძლიერებას. ოქმის მიღებით, საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა, რომ თავისუფლება აღკვეთილი პირები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი გაცილებით უფრო მაღალია და რომ ამ რისკთან ბრძოლისას მისაღები ზომები ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს პრევენციულ მიდგომას. ფაკულტატური ოქმი იზიარებს იდეას, რომ დაკავების ადგილებში არასათანადო მოპყრობის ყველაზე ეფექტიანი პრევენცია ასეთ ადგილებში დამოუკიდებელი და რეგულარული ვიზიტების განხორციელების გზითაა შესაძლებელი. ასეთი ვიზიტებით მოწმდება დაკავების ადგილებში მყოფ პირთა მიმართ მოპყრობა და მათი განთავსების პირობები.

ფაკულტატური ოქმი ძალაში 2006 წლის ივნისში შევიდა. ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, ეროვნულ დონეზე შექმნან „პრევენციის ეროვნული მექანიზმი“ (NPM). ეს არის ერთი ან რამდენიმე ორგანოსაგან შემდგარი ინსტიტუცია, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულთა მიმართ მოპყრობას, გასცემს რეკომენდაციებს, შეიმუშავებს პოზიციას დახურული ტიპის დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ პოლიტიკასა თუ პრაქტიკაზე. იმისათვის, რომ მასზე დაკისრებული ფუნქციები ეფექტიანად შეასრულოს, პრევენციის ეროვნული მექანიზმი უნდა:

- იყოს მთავრობისაგან და შესამოწმებელი ინსტიტუტებისაგან სრულიად დამოუკიდებელი;
- იყოს შემოწმებისათვის საჭირო ყველანაირი რესურსით სრულად აღჭურვილი;
- ჰყავდეს შესაბამისი საექსპერტო ცოდნის მქონე პერსონალი, რომელსაც ეფექტიანად შეუძლია დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგი.

პრევენციის ეროვნულ მექანიზმს უფლება აქვს:

- დაუბრკოლებლად შევიდეს დაკავების ყველა ადგილზე (მათ შორის კერძო პირების მფლობელობაში არსებულ ადგილებშიც);
- დაკავებულებთან ან სხვა პირებთან, კონფიდენციალურ გარემოში, ჩაატაროს პირისპირ ინტერვიუ;
- თავად გადაწყვიტოს, დაკავების რომელ ადგილებში ჩაატაროს მონიტორინგი და ვის გაესაუბროს;
- ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა თავისუფლება აღკვეთილი პირებისა და დაკავების ადგილების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ;

- მიიღოს სრული ინფორმაცია დაკავებულების მიმართ მოპყრობისა და მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, თანამშრომლობს წამების პრევენციის ქვეკომიტეტთან (SPT), რომელიც ფაკულტატური ოქმით დაფუძნებული სახელშეკრულებო ორგანოა და აღჭურვილია როგორც ოპერაციული (როგორცაა ოქმის მონაწილე სახელმწიფოებში დაკავების ადგილების მონახულება და დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა), ასევე საკონსულტაციო ფუნქციებით (როგორცაა ოქმის მონაწილე სახელმწიფო ორგანოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმების დახმარება, სწავლება ა.შ.). წამების პრევენციის ქვეკომიტეტი აერთიანებს 25 დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ექსპერტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ქვეკომიტეტი აქვეყნებს თავისი საქმიანობის ანგარიშს ყოველწლიურად. ამჟამად ოქმის მონაწილეა 83 სახელმწიფო, რომელთაგან 65-მა უკვე შექმნა პრევენციის ეროვნული მექანიზმი.¹

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ

2009 წლის 16 ივლისს “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველი ასრულებს ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან იქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.²

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;
- სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც ღია კონკურსის წესით კომპლექტდება სხვადასხვა დარგის ექსპერტებისაგან;
- პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს და მისი მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ხელშეწყობა.

¹ მონაცემები აღებულია წამების პრევენციის ასოციაციის ვებ გვერდიდან: <http://apt.ch/en/opcat-database/> [ბოლოს ნანახია: 07.06.2018].

² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 19¹ (1).

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა

2.1 პრევენციული ვიზიტები

პრევენციის ეროვნული მექანიზმის, როგორც წამების პრევენციის გლობალური სისტემის ნაწილის, ამოცანაა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის რისკფაქტორების გამოვლენა და მათზე რეაგირება; ამ ფაქტორების აღმოფხვრისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავება.³ ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტები შემდეგ დაწესებულებებში: 8 პენიტენციურ დაწესებულებაში - 34 ვიზიტი; 5 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში - 9 ვიზიტი; 9 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში - 9 ვიზიტი; რელიგიური კონფესიების 9 ბავშვთა სახლში - 9 ვიზიტი; პოლიციის 45 სამმართველოში - 45 ვიზიტი; 19 დროებითი მოთავსების იზოლატორში - 21 ვიზიტი; 6 ფოკუსჯგუფში შედგა შეხვედრა რეგიონებში მომუშავე ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრში განხორციელდა 1 ვიზიტი. ჩატარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი 5 ოპერაციის მონიტორინგი.

2.2 კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან

მანდატიდან გამომდინარე საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი დიდ ყურადღებას უთმობს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. აღსანიშნავია, რომ, როგორც მდგომარეობის შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესი, ასევე ამ რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირება და შესრულების მიმდინარეობაზე თვალყურის დევნება შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გარეშე. ამ მიმართულებით, 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა.

2.2.1. დიალოგი სახელისუფლებლო ორგანოებთან

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აქტიური კომუნიკაცია და დიალოგი ჰქონდა ხელისუფლების ორგანოებთან. შეხვედრები იმართებოდა როგორც ინდივიდუალურ რეჟიმში, ასევე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან

³გაერო, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კომიტეტი, წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიდგომა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციასთან დაკავშირებით, პუნქტი 5 (C), მეორემეტე სესია, ჟენევა, 15-19 ნოემბერი, 2010 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://digitallibrary.un.org/record/699284/files/CAT_OP_12_6-EN.pdf [ბოლოს ნანახია: 13.05.2018].

საანგარიშო პერიოდში შედგა არაერთი შეხვედრა, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული კონკრეტული პრობლემების და სახალხო დამცველის ცალკეული რეკომენდაციების შესრულებისათვის განსახორციელებელ საქმიანობის ირგვლივ.

2.2.2. დიალოგი დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2017 წელს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სახალხო დამცველი და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები პირადად იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართულ სხვადასხვა ფორუმებსა და შეხვედრებში.

2.2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა

თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება პრევენციის ეროვნული მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ვიზიტის შემდგომი, სპეციალური და წლიური ანგარიშების გამოქვეყნებით, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებით, შეხვედრებითა და მედიის საშუალებით.

2017 წლის 26 ივნისს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა წარადგინა 2016 წლის წლიური ანგარიში.⁴ პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოამზადა და გამოაქვეყნა N3, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიშები.⁵ ასევე გამოაქვეყნა ორი სპეციალური ანგარიში სახელწოდებით - „ფსიქიკური ჯანდაცვის დაწესებულებათა პრივატიზაცია საქართველოში შეფასება, დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის“ და „შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში“⁶

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი კვლავ აგრძელებდა კვარტალური ბიულეტენების გამოცემას, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციების შესრულების დინამიკა, საკანონმდებლო მიმოხილვა, საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დარგის ექსპერტების

⁴ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/national-preventive-mechanism-reports/wliuri-angarishebi-npm> [ბოლოს ნანახია 20.06.2018]

⁵ ვიზიტის შემდგომი ანგარიშები იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/national-preventive-mechanism-reports/reports-after-the-visit> [ბოლოს ნანახია 20.06.2018]

⁶ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/national-preventive-mechanism-reports/special-reports> [ბოლოს ნანახია 20.06.2018]

მოსაზრება, სამომავლო ღონისძიებების ანონსი და სხვა. 2017 წელს სულ გამოქვეყნდა ასეთი ოთხი ბიულეტენი.⁷

პრევენციის ეროვნული მექანიზმი რეგულარულად ავრცელებდა საჯარო განცხადებებს თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული ვიზიტებისა და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტელე და რადიო გადაცემაში, ასევე გამოქვეყნდა არაერთი ინტერვიუ ბეჭდვით და ინტერნეტ მედიაში.

2.2.4. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელთაგან აღსანიშნავია:

2017 წლის 6 ოქტომბერს, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა სემინარი სახელწოდებით - „დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის პერიოდში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის მიზნით დაცვის ეფექტიანი გარანტიების უზრუნველყოფა“. სემინარზე მომხსენებლებს შორის იყვნენ გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში ნილს მელცერი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის პრეზიდენტი იენს მოდვიგი, წამების პრევენციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მალკოლმ ევანსი, წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი ბარბარა ბერნატი, ბრაზილიის და ჩილეს მაღალი რანგის მოსამართლეები. აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მსოფლიოს 65 პრევენციის ეროვნული მექანიზმიდან მომხსენებლად მხოლოდ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელი, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნიკა კვარაცხელია იყო მიწვეული.

2017 წლის 7-8 აგვისტოს, ჟენევაში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ორგანიზებით გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს კომიტეტის მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილების გადატვირთულობის საკითხის შეფასების მეთოდოლოგიაზე მსჯელობა წარმოადგენდა. შეხვედრაში საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მომხსენებლად მოწვეული იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნიკა კვარაცხელია, რომელმაც ისაუბრა ციხის გადატვირთულობის საკითხზე, რაც წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა საქართველოში. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს გადატვირთულობა გამოიწვია მკაცრმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარვეზებმა.

⁷ ბიულეტენები იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/prevenციis-erovnuli-meganizmi/NPMBulletin> [ბოლოს ნანახია 20.06.2018]

2017 წლის 2 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, ნიკა კვარაცხელიამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2017 წლის 16-17 მაისს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - „ყაზახეთის ხელისუფლების მხარდაჭერა მართლმსაჯულების სისტემის გასაუმჯობესებლად“ - ფარგლებში გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმების პირველი საერთაშორისო ფორუმი - „წამების პრევენცია: ყაზახეთი და საერთაშორისო გამოცდილება“. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსმა, აკაკი კუხალეიშვილმა მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ.

2017 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს, საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც დარგში მომუშავე მაღალი დონის ექსპერტებთან ერთად პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტთა ადმინისტრაციული დაკავების სტანდარტებზე მომუშავე ჯგუფის მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმებისგან შენიშვნების და კომენტარების მიღება. საქართველოდან სამუშაო შეხვედრაში სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნიკა კვარაცხელია მონაწილეობდა.

2.2.5. ურთიერთობა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან

2017 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან.

2017 წლის 6 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესი, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის არსებული ფორმატის რეგულირებას ისახავს მიზნად.

წესის მიხედვით, წამების პრევენციის ან ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ საპროექტო განაცხადით მიმართონ სახალხო დამცველს, რათა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ქვეშ და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელონ ერთობლივი პროექტები,

რომელიც შეიძლება მოიცავდეს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში თემატური ვიზიტებს, ასეთ ადგილებში არსებული სიტუაციის სიღრმისეულად შესასწავლად დარგობრივი კვლევების წარმოებას ან საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ საქმიანობას. არასამთავრობო ორგანიზაციებს განაცხადით მიმართვა შეუძლიათ როგორც სახალხო დამცველის მიერ პერიოდულად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, ასევე კონკურსის გარეშეც ნებისმიერ დროს.

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისთან. ჩატარდა არაერთი შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის საკითხზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებს რეგულარული კომუნიკაცია ჰქონდათ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - „წამების პრევენციის ასოციაციასთან“ (APT) რეკომენდაციების შესრულების კონტროლის სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით პრევენციის ეროვნული მექანიზმი იკვლევდა პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირთან, პროექტ „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა II“-ის ფარგლებში. ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია, მნიშვნელოვან ფინანსურ და ანალიტიკურ დახმარებას უწევს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს, რაც გამოიხატება ისეთი რეგულარული აქტივობების დაფინანსებაში, როგორიცაა ტრენინგები, მონიტორინგის ვიზიტები, საჯარო პრეზენტაციები და სხვ.

ამასთანავე, ევროპის საბჭოს პროექტ „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ჩატარდა არაერთი სასწავლო აქტივობა.

2.2.6. კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან

საქართველოს სახალხო დამცველი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა ქვეყნების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას.

2017 წლის 18-20 ოქტომბერს მოლდოვის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები საქართველოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის გაცნობა. მოლდოვის

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სახალხო დამცველი მიხაილ კოტოროზაი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და წამებასთან ბრძოლის კოლეგიის წევრები.

2017 წლის 21-25 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები სასწავლო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ სომხეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის და დამოუკიდებელი მონიტორინგის საბჭოების (ციხეების და პოლიციის მონიტორინგის საბჭოები) წარმომადგენლებისთვის ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის განხორციელების კუთხით გამოცდილების გაზიარება. ტრენინგის დროს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა სომეხ კოლეგებს გააცნეს მათ მიერ შემუშავებული ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ინსტრუმენტი.

2017 წლის 5-7 ივნისს ყირგიზეთის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები საქართველოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის გაცნობა. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყირგიზ კოლეგებს პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების და რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მეთოდოლოგია გააცნეს.

2.3. სამუშაო მეთოდოლოგია და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრთა სწავლება

2.3.1. საკონსულტაციო საბჭო

საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა. საბჭო სახალხო დამცველს წარუდგენს მოსაზრებას შემდეგ საკითხებზე: ა) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის შესახებ; ბ) სამუშაო მეთოდოლოგიის შესახებ; გ) თემატური კვლევების შესახებ; დ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების პროფესიული სწავლების შესახებ; ე) პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ. ვ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე. საბჭოს მოსაზრებას აქვს საკონსულტაციო ხასიათი. მისი მოწვეული წევრები ხელს უწყობენ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს აკადემიურ წრეებთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამყარებაში.

საბჭოს წევრთა შემადგენლობაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების გარდა ასევე შედიან მოწვეული წევრები, რომლებიც შეიძლება იყოს ა) პირი, რომელიც ეწევა საგანმანათლებლო/აკადემიურ საქმიანობას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან

დაკავშირებულ სფეროში; ბ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი; გ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი; დ) წამების პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი.⁸

2017 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს ორი სხდომა ჩატარდა. საკონსულტაციო საბჭოს წევრებს მიეწოდა ინფორმაცია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, თავის მხრივ საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები და რეკომენდაციები პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობასთან დაკავშირებით.

2.3.2. სამუშაო მეთოდოლოგია

2017 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამუშაო მეთოდოლოგიის გადასინჯვასა და გაუმჯობესებას. ამ მიზნით გაიმართა არაერთი ღონისძიება და შეხვედრა, ჩატარდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა გადამზადების სამუშაოები.

2017 წლის განმავლობაში, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები და წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი (მრჩეველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში) ბენ ბაკლენდი.

პირველი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის კუთხით არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელებს გამოწვევების დამლევის შესაძლო გზებზე. სამუშაო შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეულმა ექსპერტმა ბენ ბაკლენდმა შეიმუშავა საჭიროებების შეფასების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები, რათა რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის პროცესი გამხდარიყო უფრო ეფექტიანი და მოქნილი.

მეორე შეხვედრაზე განიხილეს რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის კუთხით ერთიანი სტრატეგიის არსებობის აუცილებლობა, სახელისუფლებო ორგანოებთან დიალოგის შესაძლო ფორმატი, ასევე რეკომენდაციებისა და ზოგადად ანგარიშების წერის დახვეწის გზები. მონაწილეები გადანაწილდნენ ჯგუფებში და განესაზღვრათ კონკრეტული

⁸საბჭოს შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meganizmi/prevenciis-erovnuli-meganizmis-sakonsultacio-sabcho/prevenciis-erovnuli-meganizmis-sakonsultacio-sabchos-shesaxe page> [ბოლოს ნანახია 11.06.2018].

ამოცანები. სამუშაო შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით აღნიშნული ჯგუფების მუშაობის შედეგად მომზადდა რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი კონტროლის (Follow-up) გაიდლაინი.

2017 წელს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეგორმის“ მხარდაჭერით, განხორციელდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის პოლიციის მონიტორინგის ინსტრუმენტების განახლება.

2.3.3. თანამშრომელთა სწავლება

2017 წლის 1–3 მაისს ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგია და საერთაშორისო სტანდარტები.“ ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ წამების პრევენციის კონცეფციას, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტებს, სამუშაო ინსტრუმენტებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. ტრენინგის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული, პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ასევე სოციალური მზრუნველობის სახლებში მყოფი პირების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვას. ტრენინგის ფორმატი ითვალისწინებდა როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც. ტრენინგს უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტი, მიკოლა გნატოვსკი (წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) პრეზიდენტი) და სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნიკა კვარაცხელია.

2017 წლის 13 აპრილს ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეგორმის“ პროექტის ფარგლებში და ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტების თანამშრომლების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა გაეროს პატიმართა მოპყრობის განახლებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებთან („ნელსონ მანდელას წესები“) დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრაზე გაეროს „ნელსონ მანდელას წესების“ ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით გაიმართა თემატური განხილვები და შედარებები „ციხის ევროპულ წესებთან“, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან. დისკუსიის ფორმატში აგრეთვე განიხილეს პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები.

3. პენიტენციური სისტემა

სახალხო დამცველი მიესალმება 2017 წელს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა პატიმრობის კოდექსში. დადებითად უნდა შეფასდეს წარმოდგენილი რეფორმის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შექმნა, არასაპატიმრო ღონისძიების ახალი სახის - შინაპატიმრობის ამოქმედება და გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების უფლების მინიჭება.⁹

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ფიზიკური ძალადობის გამოძიების მოთხოვნით 2017 წელს სახალხო დამცველს საქართველოს პროკურატურისთვის არ მიუმართავს.¹⁰ მიუხედავად ამისა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პატიმრებს შორის ძალადობა, ციხის კრიმინალური სუბკულტურა და არაფორმალური მმართველობა.

ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად საჭიროა, ერთი მხრივ, ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, დოკუმენტირების, საგამოძიებო ორგანოსათვის შეტყობინების ეფექტური მექანიზმის დანერგვა და, მეორე მხრივ, არსებული სხვადასხვა სარისკო პრაქტიკის აღმოფხვრა. ამ კონტექსტში, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს საანგარიშო პერიოდში შესაძლო არასათანადო მოპყრობის შედეგად პატიმრის დაზიანების აღრიცხვის ახალი წესის ამოქმედება, თუმცა, სამწუხაროდ, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაციები ამ წესის შემდგომი დახვეწის შესახებ¹¹ და კვლავ პრობლემურია მისი პრაქტიკაში დანერგვის საკითხი. დოკუმენტირების ხარვეზებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, ახალი წესის შესაბამისად, მხოლოდ 4 შემთხვევაში მოხდა დოკუმენტირება და ეს მაშინ, როდესაც 2017 წელს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, გაცილებით მეტი პირი იქნა შესახლებული პენიტენციურ დაწესებულებებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ სხეულის სხვადასხვა დაზიანება და მიუთითებდნენ, რომ ეს დაზიანებები მიიღეს დაკავებისას ან დაკავების შემდეგ.¹²

⁹ გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, დაბალი რისკის მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ისარგებლონ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით (პატიმრობის კოდექსი, მუხლი 115¹).

¹⁰ სპეციალუმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოითხოვა ინფორმაცია დაზიანებების შესახებ, მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია [იხილეთ დანართში](#).

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 39-40 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 12.03.2018].

¹² საქართველოს რეგიონებში შესწავლილი 469 შემთხვევიდან 19 შემთხვევაში დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირს აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა დაზიანება და პრეტენზია ჰქონდა პოლიციის მიმართ. ყველა ეს პირი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, ბრალდებულის სტატუსით

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლავ პრობლემურია ექიმსა და პატიმარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი.¹³ საანგარიშო პერიოდში, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამედიცინო პერსონალი კვლავ არ იყო სრულად დამოუკიდებელი დაწესებულების დირექტორისა და სხვა არასამედიცინო პერსონალისგან.¹⁴

სახალხო დამცველი კვლავ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ არასათანადო მოპყრობის პრევენციის ამოცანა არ უნდა იყოს დაყვანილი მხოლოდ ფიზიკური ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილებამდე. აუცილებელია ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებთან ბრძოლა, პატიმრობის ცუდი პირობებით (პატიმრობის პირობები წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის მოიცავს როგორც მატერიალურ პირობებს, ასევე რეჟიმს და ნორმალიზაციის პროცესის ხელშეწყობ დღის აქტივობებს) გამოწვეული ტანჯვის პრევენცია და პირადი თუ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა, მასში გაუმართლებელი ჩარევის თავიდან აცილება. ამ მხრივ ყველაზე არაკეთილსაიმედო მდგომარეობა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებშია.

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების მიმართ სამინისტროს პოლიტიკა არ შეესაბამება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების სულისკვეთებას, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში **შემღებისდაგვარად** უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივ ციხეებში არსებული რეგულაციები.¹⁵ თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს არ მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სარეაბილიტაციო აქტივობებში, რაც ხელმისაწვდომი იყო დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის.¹⁶ არსებული მიდგომებით, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება წარმოადგენს სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებზე დაფუძნებულ, შეზღუდვების, აკრძალვებისა და უპირობოდ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და, შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას.¹⁷

მოთავსებული იყო პენიტენციურ დაწესებულებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლებული ბრალდებულებიდან დაზიანება მიიღო: დაკავებისას - 75 პირმა და დაკავების შემდეგ - 85 პირმა.

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 39-40 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 12.03.2018]. გვ. 34-35.

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 39-40 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 12.03.2018]. გვ. 39.

¹⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(82)18, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16804fa45e> [ბოლოს ნანახია 07.03.2017].

¹⁶ 2017 წელს N3 და N6 დაწესებულებებში მხოლოდ 3 სარეაბილიტაციო პროგრამა განხორციელდა, N7 დაწესებულებაში კი არცერთი.

¹⁷ პენიტენციურ სისტემაში სარეაბილიტაციო აქტივობების შესახებ ინფორმაცია [იხილეთ დანართში](#).

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა. კერძოდ, არ ხდება პატიმრების მიმართ ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთება.¹⁸ საგულისხმოა, რომ მითითებული ღონისძიების გამოყენებით ხდება ჩარევა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ადამიანს სასჯელის მოხდის პერიოდშიც უნარჩუნდება და, შესაბამისად, სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.¹⁹ სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია ყველა კონკრეტულ საქმეში რისკი შეფასდეს ინდივიდუალურად, ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრძანებაში კი ნათლად ჩანდეს მისი გამოყენების აუცილებლობა და უალტერნატივობა. დამატებით, აღსანიშნავია, რომ მეთვალყურეობით განხორციელებული ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად კვლავ განსაზღვრულია 5 დღე-ღამე და სახალხო დამცველის რეკომენდაცია აღნიშნული ვადის, სულ მცირე, 10 დღე-ღამემდე გაზრდის შესახებ არ შესრულებულა.²⁰ სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი გადაწყვეტს, მოპყრობის შესახებ საჩივრით მიმართოს სახალხო დამცველს ან საგამოძიებო ორგანოს, რეაგირება გარკვეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული და მოითხოვს დროს. კერძოდ, თუ პატიმარი მიმართავს სახალხო დამცველს, სახალხო დამცველმა უნდა მიმართოს²¹ საგამოძიებო ორგანოს და მოითხოვოს ვიდეოჩანაწერების ამოღება. თავის მხრივ, საგამოძიებო ორგანომ უნდა მიმართოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და მოითხოვოს ჩანაწერის დაარქივება ამოღების მიზნით. აღნიშნული პროცედურის და მეთვალყურეობის სისტემის შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სახალხო დამცველს გონივრულად მიაჩნია, სისტემის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების გზით, უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერების შენახვა არანაკლებ 10 დღე-ღამისა.

¹⁸საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 60-64, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

¹⁹წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი, 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 02.03.2018].

²⁰ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 64, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

²¹პრაქტიკულად, იყო შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველმა პირდაპირ მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და მოითხოვა ვიდეოჩანაწერების დაარქივება, მაგრამ სამინისტროსგან მიიღო პასუხი (2017 წლის 18 ოქტომბრის MOC 81700818983 წერილი), რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის“ თანახმად, სახალხო დამცველის მიმართვა არ წარმოადგენს ვიდეოჩანაწერების დაარქივების საფუძველს.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში პრობლემად რჩება პაციმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა. აღნიშნულ ოთახში მოთავსებისას არ ხდება დაწესებულების თანამშრომლების მულტიდისციპლინური ჩარევა რისკების შემცირების და აღმოფხვრის მიზნით.²² პაციმრებს აკრძალული აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტი, არ მიეწოდებათ ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები. კვლავ პრობლემას წარმოადგენს დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო და პირობები. ოთახები არ არის უსაფრთხო და მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. გარდა ამისა, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დეესკალაციის ოთახში პაციმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად 24 საათის დაწესების შესახებ.²³ აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით განსაზღვრულია მხოლოდ პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების ხანგრძლივობა (72 საათი), მაშინ როდესაც პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა შეზღუდული არ არის. აღნიშნული შესაძლებელს ხდის პირის დეესკალაციის ოთახში შეუზღუდავად, ზედიზედ რამდენჯერმე მოთავსებას.²⁴

უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ დეესკალაციის ოთახში პაციმრის მოთავსება შესაძლოა იყოს მხოლოდ იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება და პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს სხვა ზომებს, მათ შორის, მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის,²⁵ ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მიერ პაციმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევით. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსება არის წესრიგის და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით პაციმრის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიება, რა დროსაც მომატებულია პაციმრის მიერ თვითდაზიანების ან მის მიმართ ძალის გამოყენების რისკი, რაც, თავის მხრივ, ზრდის ამ პაციმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს. შესაბამისად, 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ დეესკალაციის ოთახებში ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობით განხორციელებული ჩანაწერები ყველა შემთხვევაში ინახებოდეს არანაკლებ 1 თვის ვადით,²⁶ თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. სახალხო დამცველს დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ვიდეოჩანაწერების შენახვა ტექნიკურად შესაძლებლად მიაჩნია დაარქივების გზით მოხდეს.

პაციმრების სრული შემოწმება კვლავ ხდება რუტინულად და არ ეფუძნება იმწუთიერად

²² საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 54-59. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

²³ იქვე, გვ. 59.

²⁴ N2, N3, N6 და N8 პენიტენციური დაწესებულებების დებულებები.

²⁵ პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალურ სამსახურში დასაქმებულ პირთა რაოდენობა [იხილეთ დანართში](#).

²⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 59, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

პატიმრისაგან მომდინარე რისკების შეფასებას. ამასთან, არ არის გამიჯნული სრული (გაშიშვლებით) შემოწმების და შინაგანი შემოწმების საფუძვლები.²⁷ სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმრის სრული შემოწმების მოთხოვნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ამავდროულად, სრული შემოწმების აუცილებლობის შემთხვევაში, პატიმარს უნდა შესთავაზონ სკანირება, როგორც შემოწმების ალტერნატიული მეთოდი. ასევე, აუცილებელია გაშიშვლებით შემოწმებისა და შინაგანი შემოწმების ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა და, თითოეულის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების დადგენა. სრული შემოწმების განხორციელებისას არ უნდა ხდებოდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა და უნდა აღმოიფხვრას შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ პრაქტიკა.

წინა წლების მსგავსად, არ შემუშავებულა დისციპლინური სახდელების დაკისრების სახელმძღვანელო პრინციპები. პრობლემურია რიგ დაწესებულებებში სამართლო საკანის გამოყენების სიხშირე²⁸ და ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევები; პატიმართა პროვოცირება და დისციპლინური სახდელების დაკისრება, დასჯის მიზნით დეესკალაციის ოთახში მოთავსება; დისციპლინური სახდელის სახით ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვა. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების პრაქტიკა.²⁹

ყოველგვარი საინტერესო და თავშესაქცევი აქტივობების გარეშე საკანში 23 საათი ყოფნის პირობებში მკაცრი რეჟიმი პატიმრებში აძლიერებს პროტესტის, უსამართლობისა და უიმედობის განცდას, რაც დამატებით გამოწვევებს აჩენს უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად³⁰, დახურული ტიპის

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 71-81, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

²⁸ 2017 წელს წინა წელთან შედარებით დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანის გამოყენება 42%-ით შემცირდა (2016 წელი - 920; 2017 წელი - 386), თუმცა N2, N14 და N15 დაწესებულებებში კვლავ აქტიურად გამოიყენება სამართლო საკანში მოთავსება. 2016 წელთან შედარებით N2 დაწესებულებაში 42%-ით შემცირდა დისციპლინური სახდელების გამოყენება, თუმცა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა სამართლო საკანებში მოთავსების შემთხვევების ხვედრითი წილი (2016 წელს დისციპლინური სახდელების 42%-ს შეადგენდა სამართლო საკანში მოთავსება, 2017 წელს კი - 39%-ს). N14 დაწესებულებაში 2016 წელს გამოყენებული იქნა 60 დისციპლინური სახდელი, აქედან 57 შემთხვევაში სამართლო საკანში მოთავსება, 2017 წელს კი სულ გამოყენებული იქნა 50 დისციპლინური სახდელი და ყველა სამართლო საკანში მოთავსება. N15 დაწესებულებაში 2016 წელთან შედარებით 38 %-ით შემცირდა დისციპლინური სახდელების რაოდენობა, თუმცა გაიზარდა სამართლო საკანში მოთავსების ხვედრითი წილი (2016 წელს დისციპლინური სახდელების 36%-ს შეადგენდა სამართლო საკანში მოთავსება, ხოლო 2017 წელს კი - 66%-ს). დამატებითი სტატისტიკური ინფორმაცია [იხილეთ დანართში](#).

²⁹ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 127-134. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

³⁰ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა 2017 წელს და გამოიკითხა 943 პატიმარი.

დაწესებულებებსა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გამოკითხულ პატიმართა 5.7 %-ს უცდია სუიციდი, ხოლო 12.6 %-ს ჰქონია სუიციდური აზრები. ამავე კვლევის მონაცემებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტოაგრესიული ქმედების ჩადენის ძირითად მიზეზად დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მამაკაცი პატიმრების უმრავლესობა დაწესებულების თანამშრომლებთან ურთიერთობას ასახელებენ. თვითდაზიანების შემთხვევაში ამ მიზეზზე მიუთითებს 37.1%, ხოლო სუიციდური აზრების და სუიციდის მცდელობის შემთხვევებში, შესაბამისად, 20.0% და 27.3%. ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში ეს მონაცემები გაცილებით მცირეა და, შესაბამისად, 11.1%, 3.3% და 7.7%-ს შეადგენს.

ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა სტატისტიკურად სანდო კავშირი პატიმრობის პირობებსა და პატიმართა მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითშეფასებას შორის.³¹ აღნიშნულს რამდენიმე პარამეტრი ადასტურებს, აქედან ერთ-ერთი პატიმრობის ხანგრძლივობის და დაწესებულების ტიპის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებაა. კვლევა აჩვენებს, რომ რაც უფრო ხანგრძლივია პატიმრობა, მით უფრო დაბალია ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითშეფასება.³² ამასთან, დაწესებულების ტიპი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ასეთ თვითშეფასებაზე. როგორც ზემოთ მოცემული მსჯელობიდან ჩანს, დაწესებულებებში არსებული არაჯანსაღი, სტრესული პირობები იწვევს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის პრობლემას, ასევე ქმნის საკმაოდ დიდ ტვირთს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მეტი რესურსის გამოყოფა და არსებული გარემოს გაჯანსაღება.

სახალხო დამცველი, რა თქმა უნდა, მიესალმება სამინისტროს ძალისხმევას გეგმური სარემონტო სამუშაოების ჩატარების გზით, მატერიალური პირობების (ინფრასტრუქტურის ცვეთით გამოწვეული) გაუარესების თავიდან ასაცილებლად, თუმცა მიუხედავად მცდელობისა, კვლავაც არსებობს პრობლემები საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მხრივ³³, სათანადო ვენტილაციასთან³⁴ და საკმარის განათებასთან³⁵ დაკავშირებით. დაწესებულებაში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებიდან³⁶ გამომდინარე, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია N7 დაწესებულების დახურვის შესახებ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, უმთავრეს პრობლემას მოქმედი დაწესებულებების სიდიდე, არქიტექტურული დიზაინი და პატიმართა განთავსების პრაქტიკის თავისებურება წარმოადგენს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ N14 და N17 დაწესებულებებში კვლავაც ფუნქციონირებს ძველი, ე.წ. ბარაკული ტიპის საცხოვრებლები, სადაც მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარულ-

³¹ ინფორმაცია პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე [იხილეთ დანართში](#).

³² კვლევის მონაცემები [იხილეთ დანართში](#).

³³ პრობლემებია N2, N5, N7, N8, N12, N14, N15, N17, N18 და N19 დაწესებულებებში.

³⁴ N2, N3, N5, N6, N7, N8, N9, N14, N15, N17 დაწესებულებებში.

³⁵ N3, N7, N8, N14 დაწესებულებები.

³⁶ N7 დაწესებულება მისი თავდაპირველი დანიშნულებით აშენდა, როგორც საგამომიებო იზოლატორი.

ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება; გარდა ამისა, ასეთი ტიპის საცხოვრებელი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისითაც დამატებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოშობს, ვინაიდან პირადი სივრცის არქონის პირობებში მეტია პატიმართა შორის კონფლიქტის რისკი. N2, N8, N12, N14 , N15, N17 დაწესებულებებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ყველა მსჯავრდებულის პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი 4 კვ.მ. მინიმალური პირადი ფართობი უზრუნველყოფა.³⁷ ეს გამოწვეულია არა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში ადგილების საკმარისი რაოდენობის არარსებობით³⁸, არამედ პატიმართა დაწესებულებაში შეუსაბამო განთავსებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად ღია ტიპის სხვა დაწესებულებებში არის ლიმიტით განსაზღვრული ადგილების საკმარისი რაოდენობა, N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რაოდენობა, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დადგენილ ლიმიტს 328-ით აღემატება.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ გაუმართლებელია პატიმრობის კოდექსით ბრალდებულის მინიმალურ საცხოვრებელ ფართად 3 კვ.მ. განსაზღვრა, ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ბრალდებულები მსჯავრდებულებთან შედარებით, უფრო მეტად შემზღუდველ პირობებში არ უნდა იყვნენ. დღეს მოქმედი პატიმრობის კოდექსი არ ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას, ისარგებლოს ხანგრძლივი პაემნის უფლებით. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული შეზღუდვა დაუსაბუთებელია და წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმრობის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვროს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესი.³⁹

სპეციალური პრევენციული ჯგუფი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შენობების ფართობი პრაქტიკულად სრულად უჭირავს საკნებს, არ არის გამოყოფილი და მოწყობილი სათანადო ინფრასტრუქტურა დღის აქტივობებისთვის. პრობლემებია სასეირნო ეზოების დაგეგმარების, დიზაინისა და მოწყობის კუთხით. დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში სასეირნო ეზოებში არსებული მდგომარეობა არ იძლევა სათანადო ფიზიკური დატვირთვის

³⁷ N2, N8, N12, N14 , N15, N17 დაწესებულებებში.

³⁸ 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, N15 დაწესებულების გარდა, სხვა არცერთი დაწესებულების ლიმიტი შევსებული არ იყო.

³⁹ ვარნასი ლიტვის წინააღმდეგ (Varnas v. Lithuania), განჩინება, 2013 წლის 9 დეკემბერი. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს არ ჰქონდა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მეუღლე სისხლის სამართლის საქმეში არ წარმოადგენდა ბრალდებულს, არც მოწმეს და არ არსებობდა ინფორმაცია მის დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ, შესაბამისად, მომჩივნისა და მისი მეუღლის ხანგრძლივი პაემანი ხელს ვერ შეუშლიდა გამოძიების მიმდინარეობას. სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 მუხლების (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას.

შესაძლებლობას. სასაქონლო ეზოები არ არის აღჭურვილი სავარჯიშო ინვენტარით. აუცილებელია, დაწესებულებებში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები, მოეწყოს ეზოები სავარჯიშო ინვენტარით და, ამასთანავე, გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა. ასევე შესაძლებელია დახურული ტიპის დაწესებულებების შენობებში, ფლიგელების მიხედვით, საკნების გადაკეთების ხარჯზე მოეწყოს სივრცეები სპორტული და სხვა რეკრეაციული აქტივობებისთვის.

ზოგადად, მნიშვნელოვანია, არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფის და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მცირე დაწესებულებების შექმნა გაამარტივებს დაწესებულების მართვას, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, შექმნის უკეთეს წინაპირობას სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად.

პენიტენციური დაწესებულებების გამოწვევა სასჯელის უმთავრესი მიზნის, პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის უზრუნველყოფაა. მიუხედავად გარკვეული ნაბიჯებისა, ამ მხრივ სისტემაში კვლავ მძიმე მდგომარეობაა. პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, პროგრამების არამრავალფეროვნება და სპორადულობა, ასევე მსჯავრდებულთა დაბალი ჩართულობა.⁴⁰ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები ზოგადი ხასიათისაა, სრულყოფილად არ ასახავს მსჯავრდებულის საჭიროებების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ ჩატარებულ სამუშაოს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პროგრამების მრავალფეროვნების უზრუნველყოფის პარალელურად, მსჯავრდებულთა მოტივირების მიზნით აუცილებელია პროგრამებში მონაწილეობისათვის მათი წახალისება.⁴¹ სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას. კერძოდ, სამინისტრო 2018 წელს ახალი რეგულაციის შემოღებაზე დაიწყებს მუშაობას, რომლის თანახმად, დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულს, სამუშაო დღეების შესაბამისად, მოსახდელი სასჯელის ვადა შეუმცირდება. ამ ახალი მექანიზმის ეფექტიანად ასამუშავებლად აუცილებელია დაწესებულებებში დასაქმების შესაძლებლობების⁴² გაზრდა.

გარე სამყაროსთან სათანადო ინტენსივობის კონტაქტის შენარჩუნება მნიშვნელოვანია როგორც არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის, ასევე მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მინიჭება და სატელეფონო საუბრით სარგებლობის ოდენობისა და ხანგრძლივობის

⁴⁰ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 108 – 127, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

⁴¹ პენიტენციურ დაწესებულებებში წახალისების შემთხვევების თაობაზე ინფორმაცია [იხილეთ დანართში](#).

⁴² არ უნდა შემოიფარგლებოდეს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის შესაძლებლობით.

გაზრდა. ამავდროულად, კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის ოთახებში მინის ბარიერის არსებობა, ასეთ შემთხვევებში პატიმარი ოჯახის წევრებთან ყველანაირი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას მოკლებულია.⁴³ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს პატიმართა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს არარსებობა, სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობის დარღვევა, ბიბლიოთეკებში პერიოდული პრესის ხელმიუწვდომლობა, სატელევიზიო არხების არამრავალფეროვნება (მათ შორის, ენობრივი თვალსაზრისით).

ხანგრძლივი პაემნით კვლავ ვერ სარგებლობენ N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები. დაწესებულებაში მსჯავრდებულები შესაძლოა მოთავსებულნი იყვნენ ხანგრძლივი დროით,⁴⁴ ამ შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ხანგრძლივი პაემნით მათთვის განსაზღვრული საშიშროების რისკის შესაბამისად.

გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვანია ვიდეოპაემნის როლი, რადგან ვიდეოპაემნით არა მხოლოდ მსჯავრდებულის ოჯახის წევრები, არამედ მეგობრები და ახლობლებიც სარგებლობენ. ვიდეოპაემნით სარგებლობა შეუძლიათ N5, N8, N11, N15, N16 და N17 დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს, სხვა დაწესებულებებში აღნიშნული უფლებით სარგებლობა ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შეუძლებელია. ამასთან, ვიდეოპაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს.⁴⁵

სამედიცინო მომსახურების ორგანიზების კუთხით ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, მაგრამ მთავარ გამოწვევას დაავადებათა, განსაკუთრებით არაგადამდებ დაავადებათა, პრევენცია წარმოადგენს. პენიტენციური ჯანდაცვა ძირითადად რეაგირებს კლინიკურად გამოხატულ დაავადებებზე და, ამ კუთხით, მნიშვნელოვანი რესურსიც იხარჯება. დასანანია, რომ პენიტენციური ჯანდაცვის პაკეტით გათვალისწინებული ზოგიერთი არაგადამდები დაავადების სკრინინგული გამოკვლევა არ ტარდება. განსხვავებით არაგადამდები დაავადებებისგან, ინფექციური დაავადებების სკრინინგული გამოკვლევების ნაწილი მეტად სისტემურ ხასიათს ატარებს და პატიმართა ამ კვლევებით მოცვის მაჩვენებელი უფრო მეტია.

პროგრესის მიუხედავად პრობლემები რჩება სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, კერძოდ, გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებებში სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოზიდვა, უწყვეტი

⁴³ N2 და N5 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს მინის ბარიერის გარეშე.

⁴⁴ ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილება ახორციელებს ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფას შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

⁴⁵ პატიმრობის კოდექსის მე-17¹ მუხლის პირველი ნაწილი.

სამედიცინო განათლების უზრუნველყოფა, სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება, კონსულტაციების დროულად ჩატარება.⁴⁶

პრობლემებია პრევენციული ჯანდაცვისა და ზოგადად ჯანდაცვის სერვისების შესახებ პატიმართა ინფორმირების კუთხით. პატიმართა უმეტესობა აღნიშნულ ინფორმაციას საერთოდ არ ან ნაწილობრივ ფლობს.⁴⁷ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი გავლენას ახდენს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითშეფასებასა და დინამიკაზე.⁴⁸

არსებითი ხარვეზები იკვეთება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დროული იდენტიფიცირების და შესაბამის სერვისზე გადამისამართების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა გარკვეული ნაწილი იღებს სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა უმრავლესობა პენიტენციურ დაწესებულებებში რჩება. პენიტენციურ დაწესებულებებში არ არის სტატისტიკურად აღრიცხული, თუ რამდენ პაციენტს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, შესაბამისად, რამდენს ესაჭიროება ფსიქიატრიული დახმარება.⁴⁹

დისკრიმინაციის პრევენციისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული პენიტენციური სისტემის შექმნის მიზნით, უცილებელია კონკრეტული ჯგუფების სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება და ამ საჭიროებების დაკმაყოფილება. ამ კუთხით, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებობს გარკვეული გამოწვევები, მათ შორის, ლგბტ თემთან ასოცირებული პირების მიმართ არსებული სტიგმა, ფსიქოლოგიური ძალადობა, მათი იზოლირება და გარიყვა ციხის საერთო ცხოვრებიდან; უვადოდ თავისუფლებადკვეთილი პირების სათანადო რეაბილიტაცია.⁵⁰ ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრების შეზღუდული ხელმისაწვდომობა სერვისებზე, საკვების მომზადებისას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებების გაუთვალისწინებლობა; არასრულწლოვანთა მოთავსება სრულწლოვანთა დაწესებულებაში (N2 და N8 დაწესებულებებში), ასევე ქალი მსჯავრდებულების ყოფნა მამაკაცთა (N2 დაწესებულება) დაწესებულებაში, სადაც სპეციალური

⁴⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 175, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

⁴⁷ კვლევის შედეგები [იხილეთ დანართში](#).

⁴⁸ კვლევის შედეგები [იხილეთ დანართში](#).

⁴⁹ სოციოლოგიურ კითხვარში ინტეგრირებული ინსტრუმენტით შეფასდა რამდენ პატიმარს ესაჭიროებოდა ფსიქიატრის კონსულტაცია. კვლევის შედეგები [იხილეთ დანართში](#).

⁵⁰ N6 და N7 დაწესებულებებში უვადოდ თავისუფლებადკვეთილ პირებს არ მიეცათ საშუალება ჩართულიყვნენ სარეაბილიტაციო აქტივობებში, რაც შეეხება N8 დაწესებულებას, აქ უვადოდ თავისუფლებადკვეთილ პირთა ნაწილი მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც მისასალმებელია. მიუხედავად ამისა, ხსენებული პროგრამები ძნელია შეფასდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ, რეგულარულ, მიზანმიმართულ და მრავალფეროვან აქტივობებად.

პენიტენციური დაწესებულებებისგან განსხვავებით, არ არის უზრუნველყოფილი სათანადო სერვისები.⁵¹

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- პატიმრობის კოდექსში, ცვლილების შეტანის გზით, განისაზღვროს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სამართალწარმოება ჩატარდეს მხოლოდ ზეპირი მოსმენით
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება
- პატიმრობის კოდექსით განისაზღვროს ბრალდებულების 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართობი უზრუნველყოფის ვალდებულება; გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, მათ ასევე მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

კანონქვემდებარე აქტების გამოცემა

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, განისაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექიმის ვალდებულება, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს პროკურატურას
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანის გზით, დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი
- 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების გზით განისაზღვროს, რომ დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ელექტრონული მეთვალყურეობის ჩანაწერები დაარქივდეს არანაკლებ 1 თვის ვადით
- 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების გზით, განსაზღვროს ვიდეოჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა (არანაკლებ 10 დღისა)
- ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის ან პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანის გზით:

⁵¹საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 207-238, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

- განისაზღვროს სრული შემოწმების განხორციელების დროს რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერების პრინციპების დაცვის ვალდებულება;
- განისაზღვროს პატიმრისთვის სრული შემოწმების ალტერნატიული მეთოდების შეთავაზების ვალდებულება;
- ერთმანეთისგან გაიმიჯნოს გაშიშვლებით შემოწმება და შინაგანი შემოწმება; დადგინდეს მათი განხორციელების პროცედურები;
- აიკრძალოს სრული გაშიშვლებისას პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების მოთხოვნა;
- უზრუნველყოს გენერალურმა ინსპექციამ პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების მონიტორინგი, რათა გამოირიცხოს ამ ღონისძიების გამოყენება შესაბამისი საფუძვლებისა და დასაბუთების გარეშე

ინფრასტრუქტურა

- არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია
- გაუქმდეს N7 დაწესებულება
- N15 დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების მიზნით, განხორციელდეს მსჯავრდებულების გადაყვანა სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილი
- N2, N8, N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყოს 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით; გაუქმდეს N14 და N17 დაწესებულებებში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები
- N2, N3, N6, N7, N8, N9, N12, N14, N15, N16, N17, N18, N19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნები განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე
- N18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოს ხანგრძლივი პაემნის ორგანიზება დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით
- N2, N3, N6, N7, N9, N12, N14, N18 და N19 დაწესებულებებში უზრუნველყოს ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- დახურული ტიპის დაწესებულებებში უზრუნველყოს ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე

- დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით
- პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში სათანადო სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობა,⁵² განათება⁵³ და ვენტილაცია⁵⁴

პატიმართა რეაბილიტაცია

- 2018 წელს გაიზარდოს სარეაბილიტაციო აქტივობების მოცულობა
- დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა
- სარეაბილიტაციო პროგრამების ინტერესების სფეროს განსაზღვრის მიზნით, 2018 წელს უზრუნველყოს ყველა მსჯავრდებულის გამოკითხვა
- ერთსა და იმავე ტიპის დაწესებულებებში უზრუნველყოს ერთგვაროვანი, საბაზისო სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება
- უზრუნველყოს 2017 წელს დაბალი რისკის დაწესებულებებში განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში; 2017 წელს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება დახურული ტიპის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით; უზრუნველყოს 2017 წელს დახურული ტიპის დაწესებულებებში განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით
- 2018 წელს გაიზარდოს ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა;
- 2018 წელს გაიზარდოს სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატს ინფორმაცია სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ
- უვადოდ თავისუფლებაადკვეთილ პირებს N6 და N7 დაწესებულებებში N8 დაწესებულების მსგავსად მიეცეთ იმავე სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა

ჯანმრთელობის დაცვა და პერსონალი

⁵² პრობლემებია N2, N5, N7, N8, N12, N14, N15, N17, N18 და N19 დაწესებულებებში.

⁵³ N3, N7, N8, N14 დაწესებულებები.

⁵⁴ N2, N3, N5, N6, N7, N8, N9, N14, N15, N17 დაწესებულებებში.

- გაიზარდოს შტატით განსაზღვრული ექიმების და ექთნების რაოდენობა, გაიზარდოს მოწვეული ექიმ-კონსულტანტების ვიზიტების რაოდენობა და წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია შესაბამისი პროგრესის შესახებ
- ჩატარდეს არაგადამდები დაავადებების სკრინინგი და სამინისტრომ წარმოადგინოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრესის შესახებ
- პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულ ექიმებს ჩატარდეთ ტრენინგი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დოკუმენტირების შესახებ და წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია შესაბამისი პროგრესის შესახებ
- დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფილ იქნეს სამედიცინო დაზღვევით, დაწესებულებამდე ტრანსპორტირებითა და სათანადო კვებით
- 2018 წელს პენიტენციური დაწესებულებების ყველა თანამშრომლისთვის უზრუნველყოს პროფესიული გადაწვის ტრენინგი

თანასწორობა

- უზრუნველყოს, რომ ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებული იმყოფებოდეს N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში
- შეიმუშაოს სტრატეგია ლგბტ, სამეურნეო ნაწილში დასაქმებული, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი სხვა პატიმრების მიმართ სიძულვილის, სტიგმისა და იზოლაციის აღმოსაფხვრელად

4. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

წინამდებარე ქვეთავში მოცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პოლიციის სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. 2017 წელს მონიტორინგი ჩატარდა 45 პოლიციის სამმართველოსა და 19 დროებითი მოთავსების იზოლატორში. მონიტორინგის ვიზიტების გარდა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა რეგიონებში გამართეს შეხვედრები ადგილობრივ ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთაგანაც მიიღეს ინფორმაცია დაკავებული პირების უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, რეგიონებში არსებული სიტუაციის შესახებ. 2016 წელს სულ ექვსი ასეთი შეხვედრა გაიმართა. დამატებით, ვიზიტები განხორციელდა N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით სპეციალური ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ 2017 წელს დაკავებულ ბრალდებულებს.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს პოლიციის სამმართველოებში წარმოებული დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნები და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილ

პირთა აღრიცხვის ჟურნალები, ვიზუალურად დაათვალიერეს პოლიციის სამმართველოების შენობები, გაესაუბრნენ სამმართველოს თანამშრომლებს. დროებითი მოთავსების იზოლატორში მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს იზოლატორის ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ იზოლატორის თანამშრომლებს, დაკავებულ პირებს, შეამოწმეს დაკავებულ პირთა საქმის მასალები.

საქმის მასალებში არსებული საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებული ამოღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი იყენებდა სპეციალურად შემუშავებულ ანკეტას. 2017 წელს, ისევე როგორც 2016 წელს, ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ვიზიტის დღემდე იზოლატორებში შესახლებული ყველა დაკავებულის პირადი საქმე.⁵⁵ ანკეტა ივსებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკავების გარემოებების, დაზიანების ლოკალიზაციის, რაოდენობის და ხასიათის⁵⁶ მხედველობაში მიღებით, კონკრეტული საქმე ჯგუფის მიერ საეჭვოდ მიიჩნეოდა. ჯგუფმა სულ 469 შემთხვევა შეისწავლა.⁵⁷

წინასწარ შემუშავებული ანკეტის მეშვეობით ამოღებული ინფორმაცია თვისებრივად სტატისტიკური პროგრამის (SPSS) გამოყენებით გაანალიზდა. პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრებისათვის სპეციალური პრევენციული ჯგუფი იყენებდა წინასწარ შემუშავებულ ინსტრუმენტს - გასაუბრების კითხვარს. ამასთან, ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია კონკრეტულ საქმეებში ადვოკატთა ჩართულობისა და ოჯახის ინფორმირების შესახებ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საქართველოს რეგიონების მასშტაბით, მონიტორინგის ჯგუფმა 463 შემთხვევა შეისწავლა.

ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე გაანალიზდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი მონაცემები. დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა, იზოლატორში შესახლებისას დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების სტატისტიკა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევების ოდენობა, წლების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

მონაცემები წლების მიხედვით	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
შესახლებულ პირთა რაოდენობა	16553	17087	16416	13081	11812
დაზიანებით შესახლებული პირები	7095(42,9 %)	6908(40,4 %)	5992(36,5 %)	6417 (49 %)	6386 (54,1 %)

⁵⁵ საეჭვო შემთხვევების ხვედრითი წილი იზოლატორების მიხედვით [იხილეთ დანართში](#).

⁵⁶ ანკეტა არ ივსებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს აღენიშნებოდა მხოლოდ ნაწიბურები, ფუფხით დაფარული ან მცირე ნაკაწრები.

⁵⁷ საეჭვო შემთხვევების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია [იხილეთ დანართში](#).

პრეტენზია პოლიციის მიმართ	111 (0,8 %)	198 (1,1 %)	168 (1 %)	193 (1,5 %)	241 (2 %)
---------------------------	-------------	-------------	-----------	-------------	-----------

ცხრილში მოცემული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წელს შენარჩუნებულია დაზიანებით შესახლებულ პირთა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევათა ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია.

განსაკუთრებით საყურადღებოა დაკავებულთა მიერ პოლიციის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების მაჩვენებლის ზრდა. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 48 შემთხვევით მეტი დაფიქსირდა. ზრდის ტენდენცია ასევე დასტურდება სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით.⁵⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს გაიზარდა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოძიების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობა. 2017 წელს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტზე გამოძიების ჩატარების წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს 10, ხოლო 2016 წელს 6 შემთხვევაში მიმართა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების თანახმად, შენარჩუნებულია ტენდენცია, როდესაც შესწავლილი შემთხვევების⁵⁹ დაახლოებით ერთ მესამედში (2017 წელი - 30,1 %, 2016 წელი - 31,3 %), დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში. ცხადია, ამ შემთხვევებში ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ შესაძლოა დაკავებული პირი პოლიციის კონტროლის ქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.

საინტერესოა სხეულის დაზიანებით დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულთა შესახლების შემთხვევების ანალიზი დაზიანების მიღების დროის ჭრილში (როგორც ამას განმარტავს დაკავებული პირი). ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა 2015 და 2017 წელს	2015	2016	2017

⁵⁸ 2017 წელს, შესწავლილ შემთხვევათა 18,6 %-ში, დაკავებულს პრეტენზია გააჩნდა პოლიციის მიმართ, იგივე მაჩვენებელი 2016 წელს 15 %-ს შეადგენდა. დამატებით, ჩაშლილი მონაცემები [იხილეთ დანართში](#).

⁵⁹ 2017 წელს, რეგიონების მასშტაბით შესწავლილი იყო 469 შემთხვევა, 2016 წელს - 578 შემთხვევა.

დაკავებამდე	5635	6009	5923
დაკავებისას	243	254	284
დაკავების შემდეგ	52	53	26
დაკავებამდე - დაკავებისას	47	76	114
დაკავებამდე - დაკავების შემდეგ	10	20	23
დაკავებისას - დაკავების შემდეგ	4	2	13
დაკავებამდე - დაკავებისას - დაკავების შემდეგ	1	3	3
	სულ: 5992	სულ: 6417	სულ: 6386

ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2017 წელს შემცირებულია დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანების მიღების შემთხვევათა რაოდენობა და, შესაბამისად, დაზიანების ხვედრითი წილი დაკავებისას ან/და დაკავების შემდგომ მიღების შემთხვევების საერთო რაოდენობაში, ხოლო, თავის მხრივ, გაზრდილია ანალოგიური მაჩვენებლები დაკავებისას მიღებულ დაზიანებებთან მიმართებით.

მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში სხეულის დაზიანებით შესახლებულ პირთა შესახებ. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

წელი	დაკავებამდე	დაკავებისას	დაკავების შემდეგ	არ მიუთითა	ჯამი
2015	818 (86 %)	88 (9,2 %)	37 (3,9 %)	8 (0,8 %)	951 (100 %)
2016	764 (79,3 %)	91 (9,5 %)	103 (10,7 %)	5 (0,5 %)	963 (100 %)
2017	784 (83 %)	75 (7,9 %)	85 (9 %)	1 (0,1 %)	945 (100 %)

როგორც ცხრილიდან ჩანს, მცირედით შემცირებულია იმ პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლებულ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთაც, მათივე განმარტებით, სხეულის დაზიანება დაკავებისას ან დაკავების შემდგომ მიიღეს. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა მიერ

სხეულის დაზიანების დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიღების ხვედრითი წილი 12,8 %-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს იგივე მაჩვენებელი 26,4 %-ია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წელს პოლიციის მხრიდან ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობა გაუარესებულია.

პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციისთვის, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების არსებობა, კერძოდ, პირის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ; მისი ოჯახის წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდება დაკავების შესახებ; ადვოკატისა და სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ, წინა წლების მსგავსად, პრობლემას წარმოადგენს პოლიციის მიერ პირის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ. 2017 წელსაც გრძელდება პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის შენობაში „გასაუბრების“ მანკიერი პრაქტიკა, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც საუბრობდა. მართალია, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს გასაუბრების მიზნით პირის ნებაყოფლობით მიწვევას პოლიციაში,⁶⁰ თუმცა, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ პრაქტიკაზე, როდესაც პირს პოლიციაში იძახებენ ყოველგვარი სტატუსის გარეშე, მისი თანხმობის გარეშე აყოვნებენ გარკვეული ვადით (რამდენიმე საათი) და უსვამენ სხვადასხვა შეკითხვას. ამ დროს მას არ მიეწოდება ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; მისი პოლიციის სამმართველოსა თუ განყოფილებაში შესვლისა და გამოსვლის შესახებ არ დგება არანაირი დოკუმენტი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა სტატუსით და რა მიზნით იმყოფებოდა ესა თუ ის პირი პოლიციაში და უფრო მეტიც, საერთოდ იმყოფებოდა თუ არა.

წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა მიიჩნია, რომ პირის გადაყვანა „გასაუბრებისთვის“, მისი მკაფიოდ გამოხატული და თავისუფალი თანხმობის გარეშე, არა მხოლოდ ზღუდავს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, არამედ ზრდის წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკსაც.⁶¹ სახალხო დამცველი იზიარებს ამ პოზიციას და თვლის, რომ პირის „გასაუბრებისთვის“ პოლიციის ავტომობილსა თუ განყოფილებაში გადაყვანის პრაქტიკა ქმნის უკანონო დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკს.

⁶⁰ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, გასაუბრებისთვის მიწვეულ პირს უნდა განემარტოს მიწვევის საფუძველი, პოლიციის შენობაში გამოცხადებისა და გასაუბრების ნებაყოფლობითობა, მასვე უნდა განემარტოს უფლებები და ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა შედგეს ოქმი.

⁶¹ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, 2015, პარ. 43, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3 [ბოლოს ნანახია 10.03.2018].

გასული წლების მსგავსად გრძელდება პოლიციის დაწესებულებაში პირის მოწმის სტატუსით მიყვანის და, შემდგომ, ფორმალური დაკავების ტენდენცია.⁶² სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში პოლიციის სამმართველოში პირთა შეყვანის დრო წინ უსწრებს მათი ფორმალური დაკავების დროს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, პირს იძახებენ მოწმის სახით, მის მიმართ ატარებენ გარკვეულ საგამომიებო მოქმედებებს და შემდეგ, აკავებენ ოფიციალურად. თუმცა, მოწმის სტატუსით მიყვანის დროს პირს არ უმართავენ საკუთარ უფლებებს, ართმევენ პირად ნივთებს, მათ შორის, მობილურ ტელეფონს, რითაც მიზანმიმართულად უზღუდავენ ოჯახისა და ადვოკატის ინფორმირების უფლებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს გაუმჯობესებულია ოჯახის წევრებისთვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების დინამიკა,⁶³ თუმცა სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ყველა შემთხვევაში ოჯახის წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდება მოხდეს 3 საათის ვადაში.⁶⁴ ოჯახის ინფორმირების უფლებით სარგებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული დაკავებულის ადვოკატთან ხელმისაწვდომობაზე, რადგან, როგორც წესი, ადვოკატის პროცესში ჩართვას ოჯახი უზრუნველყოფს. ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავების მომენტიდან უმოკლეს ვადაში, რადგან დამინების, ზეწოლის, შეურაცხყოფისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია სწორედ თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე, როდესაც პირი განსაკუთრებულად მოწყვლადია.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელთან შედარებით სისხლის სამართლის საქმეებში ადვოკატის ჩართულობის მაჩვენებელი შედარებით გაუმჯობესებულია.⁶⁵ თუმცა, საგულისხმოა, რომ წინა წელთან შედარებით, 2017 წელს ადვოკატის საქმეში ჩართვის მაჩვენებელი პირველი 24 საათის განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა.⁶⁶ ამასთან, გრძელდება ტენდენცია, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები თითქმის არასოდეს სარგებლობენ ადვოკატის დახმარებით.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სისტემური მონიტორინგის დროს შეუძლებელია დადგინდეს, დაკავების პირველივე ეტაპზე, პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის

⁶² საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 272-274. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 19.02.2018].

⁶³ 2016 წელს შესწავლილი საქმეების 56%-ში ოჯახის ინფორმირება მოხდა 3 საათის ვადაში, 2017 წელს - 71%-ში.

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის დაკავებიდან არა უგვიანეს 3 საათისა, პროკურორმა ან, მისი დავალებით, გამომძიებელმა დაკავებული პირის ოჯახის წევრებს ან მესამე პირებს უნდა შეატყობინოს დაკავების შესახებ.

⁶⁵ 2016 წელს შესწავლილი საქმეების 54%-ში დაკავებულ პირს ჰყავდა ადვოკატი, ხოლო 2017 წელს - 83%-ში.

⁶⁶ 2016 წელს დაკავებიდან 24 საათში ადვოკატი საქმეში ჩაერთო შესწავლილი შემთხვევების 17%-ში, ხოლო 2017 წელს - 15%-ში.

პერიოდში ადვოკატის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი რა მიზეზით არის გამოწვეული. კერძოდ, გაურკვეველია, რამდენ შემთხვევაში არ ისურვა დაკავებულმა პირმა ადვოკატის ჩართვა, რამდენ შემთხვევაში მოითხოვა დაკავშირება, მაგრამ პოლიციის თანამშრომლებმა რეაგირება არ მოახდინეს მის მოთხოვნაზე, ასევე, ადვოკატის საქმეში ჩაურთველობა რამდენ შემთხვევაში იყო გამოწვეული იმით, რომ, დაკავშირების მიუხედავად, ადვოკატი ვერ გამოცხადდა დაკავებულთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში არ წარმოებს რეესტრი დაკავებული პირების მიერ ოჯახთან/საკონსულოსთან და ადვოკატთან დაკავშირების უფლებით სარგებლობის შესახებ. შესაბამისად, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციის ორგანოებში უნდა წარმოებდეს ჩანაწერები იმის შესახებ, თუ ვინ და როდის მოითხოვა მითითებული უფლებით სარგებლობა, ვინ და როდის დაუკავშირდა ოჯახს/საკონსულოს და ადვოკატს, ასევე მოხერხდა თუ არა ადრესატთან დაკავშირება. ამასთანავე, აუცილებელია, რომ რეესტრში გაკეთებული ჩანაწერი დაკავებულმა პირმა დაადასტუროს ხელმოწერით, რათა არ ჰქონდეს ადგილი პოლიციის თანამშრომლების მხრიდან თვითნებურად ცრუ ინფორმაციის შეტანას. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის ორგანოებს, მათ შორის გენერალურ ინსპექციას სისტემური მონიტორინგის ფარგლებში შესაძლებლობა ჰქონდეთ სათანადოდ შეამოწმონ დაკავებული პირების ოჯახთან/საკონსულოსთან და ადვოკატთან დაკავშირების უფლების დაცვის საკითხი.⁶⁷

დამატებით, აღსანიშნავია, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ადვოკატს წელიწადში საშუალოდ 100 სისხლის სამართლის საქმის წარმოება უწევს და ამ პირობებში, შესაძლოა გართულდეს იურიდიული დახმარების სრული ეფექტიანობა. გადატვირთულობის პრობლემის შესახებ ასევე მიუთითებენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები. აქედან გამომდინარე, 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, გაზრდილიყო სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ბიუჯეტი, სამსახურის ბიუროებში ადამიანური რესურსის გაზრდის მიზნით, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია⁶⁸ არ შესრულებულა.⁶⁹

⁶⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთათვის მინიჭებული დაცვის ფუნდამენტური გარანტიები გამყარებული იქნება, თუ თითოეული დაკავებულისთვის ცალ-ცალკე იწარმოება ერთიანი და ზედმიწევნითი ჩანაწერი, რომელშიც აისახება მისი პატიმრობის ყველა ასპექტი და მათთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (თავისუფლების აღკვეთის დრო და საფუძვლები, როდის განემარტა უფლებები, როდის დაუკავშირდა ოჯახს/საკონსულოს, ადვოკატს და როდის მოინახულეს მათ). გარდა ამისა, ადვოკატს ხელი უნდა მიუწვდებოდეს აღნიშნულ ჩანაწერებზე. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პუნქტი 40. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16806cea2f> [ბოლოს ნანახია 07.03.2018]

⁶⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 290, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

⁶⁹ სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ 2018 წლის 26 იანვრის LA 61800001753 წერილი.

მისასაღმებელია დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების შესახებ წესის ამოქმედება,⁷⁰ თუმცა, როგორც 2017 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, იზოლატორებში დასაქმებული ექიმების მიერ დოკუმენტაცია ხარვეზებით იწარმოება. კერძოდ, არ ხდება დაზიანებების და მისი წარმოშობის მიზეზების სრულყოფილად აღწერა. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც დოკუმენტაციაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა მიზეზით და რა გარემოებებში მოხდა დაზიანების მიღება, თუმცა ექიმს შეფასებული აქვს შესაბამისობის ხარისხი დაზიანების ფიზიკურ ნიშანსა და დაზიანების მიყენების ნავარაუდევ მეთოდს შორის. გარდა ამისა, გაირკვა, რომ ექიმები ვერ ახერხებენ დაზიანებების ხარისხიან ფოტოგრაფირებას და არ ხდება გადაღებული ფოტომასალის სისტემატიზებული შენახვა.

2016 წლის მსგავსად, იმ იზოლატორებში, სადაც სამედიცინო შემოწმებას ატარებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმი, 2017 წელსაც პრობლემურია სამედიცინო შემოწმების იზოლატორის თანამშრომლების თანდასწრებით ჩატარების რუტინული პრაქტიკა,⁷¹ დაზიანების აღწერის ხარისხი⁷² და იზოლატორის თანამშრომლების მიერ პროკურატურისთვის შეტყობინების გაგზავნის პრაქტიკა.⁷³

მნიშვნელოვანია, რომ დაკავებულის მიერ საჩივრის შეტანის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს სადავო საკითხის სრულყოფილი და ობიექტური შესწავლა. ამისათვის აუცილებელია, სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება და პირის პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში აუდიო-ვიდეო ჩანაწერების სათანადოდ წარმოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაკავების ოქმებში კვლავ არ მითითება სრულყოფილად დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებები;⁷⁴ რა ვითარებაში მოხდა დაკავება, ჰქონდა თუ არა ადგილი წინააღმდეგობის გაწევას და ძალის გამოყენებას.⁷⁵ გარდა ამისა,

⁷⁰დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 დეკემბრის N691 ბრძანებით.

⁷¹საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 287-288, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

⁷² შესწავლილი საქმეების მიხედვით, 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს არსებითად არ განსხვავდება იმ შემთხვევათა რაოდენობა, როდესაც იზოლატორში შესახლებისას პირს აღენიშნებოდა დაზიანება, მაგრამ ექიმმა დაზიანება არ აღწერა (2016 წელი - 14.4%, 2017 წელი 10.1%), თუმცა შემცირებულია ის შემთხვევები, როდესაც პირს აღენიშნებოდა დაზიანება და ექიმმა დოკუმენტაციაში მიუთითა, რომ არ აღენიშნებოდა (2016 წელი - 8.3%, 2017 წელი - 1.9%).

⁷³ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს გაზრდილია იმ შემთხვევათა რაოდენობა, როდესაც დაკავებულს არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა, მათ შორის, სახისა და თვალებუდის არეში, თუმცა პროკურორთან შეტყობინება არ გაიგზავნა (2016 წელი - 19.2%, 2017 წელი - 30.1%).

⁷⁴ 2017 წელს, 2016 წლის მსგავსად, შესწავლილ შემთხვევათა ერთ მესამედში, დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში (2017 წელი - 30.1%, 2016 წელი - 31.3%).

⁷⁵2017 წელს დამუშავებული 469 (2016 წელი - 578) შემთხვევიდან დაუმორჩილებლობას/ წინააღმდეგობის გაწევას ადგილი ჰქონდა 161 (34.3%) (2016 წელი - 384 (66.4%)) შემთხვევაში, ხოლო ძალის გამოყენების

ხარვეზებით ხდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში გარეგნული დათვალიერების ოქმების შევსება. კერძოდ, ზოგ შემთხვევაში არ არის მითითებული დაზიანების წარმომავლობისა და პრეტენზიის შესახებ ინფორმაცია.⁷⁶

აქვე სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში შესაბამისი გრაფების დამატების თაობაზე, სადაც სავალდებულო იქნებოდა ინფორმაციის შეტანა დაკავებულის სხეულის დაზიანებების, წინააღმდეგობის გაწევის და ძალის გამოყენების შესახებ.⁷⁷

პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში ვიდეოსათვალთვალო სისტემით განხორციელებული ჩანაწერების შენახვის მინიმალური ვადა ნორმატიულად დადგენილი არ არის.⁷⁸ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ტერიტორიულ ორგანოებში დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემებს გააჩნია ინდივიდუალური მოცულობის მეხსიერების ბარათი, რომელთა მონაცემების შენახვის ვადა მერყეობს 2 (ორი) კვირიდან 1 (ერთი) თვემდე.⁷⁹ სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ნორმატიულად განისაზღვროს აღნიშნული ჩანაწერების არანაკლებ 14 დღის ვადით შენახვის ვალდებულება, რათა წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს ობიექტური მტკიცებულების მოპოვება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ცალსახად, წინადადებულ ნაბიჯად აფასებს 2018 წლის თებერვლის თვეში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული ვიდეოჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 120 საათის განსაზღვრას, თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ იმ იზოლატორებში, სადაც ხდება ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდა, ვიდეოჩანაწერები უფრო ხანგრძლივი ვადით, არანაკლებ 20 დღე-ღამით უნდა ინახებოდეს.⁸⁰

შესახებ ინფორმაცია მითითებულია 32 (6.8%) (2016 წელი - 33 (5.7%)) შემთხვევაში, საიდანაც მხოლოდ 7 (2016 წელი - 14) შემთხვევაში არის მითითებული ძალის გამოყენების მეთოდების შესახებ.

⁷⁶ 2017 წელს დამუშავებული 469 შემთხვევიდან (2016 წელს - 578) გარეგნული დათვალიერების ოქმებში არ იყო მითითებული ინფორმაცია დაზიანების მიღების დროის შესახებ 40 (8,5%) (2016 წელს - 8 (1.4%)) შემთხვევაში, ხოლო, პრეტენზიის შესახებ - 34 (7,2%) (2016 წელს - 9 (1,6%)) შემთხვევაში.

⁷⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 301.

⁷⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N53 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“.

⁷⁹ 2018 წლის 7 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატში გამოგზავნილი წერილი (MIA 8 18 00547972) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში არსებული ვიდეოკამერების თაობაზე.

⁸⁰ სპეციალური პრევენციული ჯგუფის რეკომენდაცია მინიმალურ ვადად 20 დღის განსაზღვრის შესახებ გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ პირი შეიძლება ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებოდეს 15 დღემდე ვადით და ამ პერიოდში მას არ ჰქონდეს შესაძლებლობა ან სტრესისა და შიშის გამო არ სურდეს მოპყრობასთან დაკავშირებით, პატიმრობის პერიოდში, საჩივრის შეტანის სურვილი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს არსებითად არ განსხვავდება დაკავებული პირების პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა (პერიოდი ფაქტობრივი დაკავებიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე).⁸¹ შესაბამისად, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ აუცილებელია, დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში უმოკლეს ვადაში მოთავსება, ვინაიდან ეს უკანასკნელი შედარებით უსაფრთხო ადგილს წარმოადგენს.⁸²

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, 2017 წელს არ შეცვლილა მდგომარეობა და ისევ პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორებში თითოეული დაკავებული პირის 4 კვ.მ. ფართობით⁸³ უზრუნველყოფა, ზოგიერთ იზოლატორში არასათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, განათება; არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და პირადი ჰიგიენის ნივთების ნაკლებობა; საკანში არსებული ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი; სასეირნო ეზოების არქონა; სასეირნო ეზოების არასათანადო მოწყობა; არასრულფასოვანი კვება.⁸⁴

დაკავებულის ღირსების შესაბამისი მოპყრობისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები დაკომპლექტებული უნდა იყოს კეთილსინდისიერი, ჰუმანური, კომპეტენტური და გენდერულად დაბალანსებული პერსონალით, რომელთა სამუშაო გრაფიკი და ანაზღაურება შეესაბამება სამუშაოს ხასიათს. 2017 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პოლიციის თანამშრომელთა დატვირთული გრაფიკი⁸⁵ და პროფესიული გადაწვის პრევენცია.⁸⁶

შესაძლებელია მას ეს სურვილი გაუჩნდეს დროებითი მოთავსების იზოლატორის დატოვების შემდეგ და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ვიდუოქანაწერების სახით მოიპოვებოდეს საჩივრის საფუძვლიანობის დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულება.

⁸¹ საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საქმეების შესწავლის შედეგად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირი პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 15, 16, 17, 22 და 29 საათის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაცია [იხილეთ დანართში](#).

⁸² საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 266-267, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

⁸³ 2016 წლის 2 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება და შინაგანაწესი; დანართი 2, მუხლი 26, პ. 2.

⁸⁴ იქვე. იქვე. გვ. 320-331.

⁸⁵ პოლიციის თანამშრომლები ძირითადად მუშაობენ 24 საათიან ცვლაში და მათ მორიგეობა უწევთ ყოველ მესამე დღეს, ხოლო ზოგიერთი თანამშრომელი მუშაობს 24 საათიან ცვლაში, ყოველ მეორე დღეს. გარდა ამისა, ტურისტული სეზონისა და სხვადასხვა ღონისძიების გათვალისწინებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც თანამშრომლებს უწევთ მორიგეობა ყოველ მეორე დღეს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას ზოგიერთი თანამშრომელი აღნიშნავდა, რომ შრომატევადი და დამღლევი საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქებოდა სამუშაოს რეჟიმის შემსუბუქება.

⁸⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 314-319, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> [ბოლოს ნანახია 08.03.2018].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2017 წელს, პოლიციის მხრიდან მოქალაქეების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით, უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნებულია, რაც მოითხოვს დაუყოვნებლივ, კომპლექსური ზომების მიღებას. ერთი მხრივ, უნდა მოხდეს პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაზე მკაცრი ზედამხედველობის დაწესება, მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა და სათანადო სწავლება. პარალელურად, პრაქტიკაში უნდა დაინერგოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები.

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- განხორციელდეს ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და განისაზღვროს, რომ დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს დროებითი მოთავსების იზოლატორში.⁸⁷

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- გაიზარდოს სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ბიუჯეტი სამსახურის ბიუროებში ადამიანური რესურსის გაზრდის მიზნით

საქართველოს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს

- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებული პირის სხეულზე არსებული დაზიანების აღწერისა და დაზიანების შესახებ ინფორმაციის საქართველოს პროკურატურისათვის მიწოდების ვალდებულება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებში და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით

⁸⁷ ანალოგიური რეკომენდაცია მოცემულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საკითხებში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში, 2015, პარ. 108, ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3 [ბოლოს ნანახია 13.03.2018]

- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებში და განყოფილებებში შეიქმნას რეესტრები, რომლებშიც დაფიქსირდება ვინ და როდის მოითხოვა ოჯახთან/საკონსულოსთან/ადვოკატთან დაკავშირება, ვინ და როდის დაუკავშირდა ოჯახს/საკონსულოს/ადვოკატს, მოხერხდა თუ არა ადრესატთან დაკავშირება
- 2018 წელს გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი და ამ იზოლატორებში შესახლებული პირის სხეულის დაზიანებების დოკუმენტირება განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით დადგენილი წესით
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებში და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს, მოწმეს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევს ყოფნა
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N53 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში არსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის მიერ განხორციელებული ვიდეოჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად განისაზღვროს 14 დღე
- მოხდეს პოლიციელების აღჭურვა გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობების სამხრე კამერებით, განისაზღვროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები
- განხორციელდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N625-ე ბრძანებაში და N9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების პროპორციული ზომა და რა ფორმით;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა პოლიციის დეპარტამენტისთვის, სამმართველოსა და განყოფილებისთვის შემუშავდეს ერთიანი ჟურნალის ფორმა, სადაც დაფიქსირდება მოქალაქეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების თარიღი და დრო, ასევე შესვლის მიზანი
- შევიდეს ცვლილება 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესში და განისაზღვროს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებული პირის სხეულზე არსებულ დაზიანებასთან დაკავშირებით, იზოლატორში დასაქმებულმა ექიმმა თავად უნდა გაუგზავნოს შეტყობინება საგამომიებო ორგანოს;

- დროებითი მოთავსების იზოლატორებში, თითოეული დაკავებული უზრუნველყოს 4 კვ.მ ფართით და ანგარიშში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პირობების გამოსწორების პროგრესის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატს
- შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, სამმართველოების და განყოფილებების თანამშრომლების მორიგეობა განისაზღვროს არაუმეტეს 3 დღეში ერთხელ
- შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, სამმართველოების და განყოფილებების თანამშრომლების ხელფასები გაიზარდოს მენეჯერულ პოზიციებზე არანაკლებ 10%-ით და არამენეჯერულ პოზიციებზე - არანაკლებ 20%-ით
- პოლიციის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ თემატური ტრენინგები ადამიანის უფლებების საკითხებზე, მათ შორის, წამების აკრძალვისა და პრევენციის გაეროს სისტემაზე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებზე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე და ამ მიმართებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატს.

5. მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან

ჩაითვლება თუ არა მიგრანტების განთავსების ადგილი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია პირს თავისუფლად დატოვოს დაწესებულება. პირის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში მის მიმართ უნდა გავრცელდეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული პირებისთვის გათვალისწინებული ყველა გარანტიები.⁸⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრი წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას, სადაც მოთავსებულ პირებს არა აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად დატოვონ დაწესებულება.

დროებითი განთავსების ცენტრში საქართველოდან გაძევების მიზნით, შესაძლებელია მოთავსდნენ საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები 3 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადა სასამართლოსათვის წარდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია დამატებით კიდევ 6 თვით გაგრძელდეს.⁸⁹

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიგრანტების დაკავების პირობები უნდა შეესაბამებოდეს მათი თავისუფლების აღკვეთის ბუნებას და გამოირჩეოდეს

⁸⁸ გაეროს სამუშაო ჯგუფის თვითნებური დაკავების შესახებ, განახლებული დოკუმენტი No. 5, მიგრანტების თავისუფლების აღკვეთა, პარა. 45, გამოქვეყნდა 2018 წლის 7 თებერვალს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.ohchr.org/> [ბოლოს ნანახია: 01.03.2018].

⁸⁹ საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 64.

ნაკლები შეზღუდვებითა და მრავალფეროვანი აქტივობებით. განთავსების ადგილებში დაკავებულების გადაადგილება, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყოს შეზღუდული.⁹⁰

ვიზიტის დროს⁹¹ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ცენტრში მოთავსებული პირების მიმართ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ.

2015 წელს განხორციელებული ვიზიტის მსგავსად,⁹² 2017 წელსაც, დადებითად უნდა შეფასდეს დროებითი განთავსების ცენტრში არსებული გამართული ინფრასტრუქტურა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კუთხით არსებული მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ცენტრში მოთავსებული პირებისთვის შეზღუდულია ცენტრის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება. ცენტრში მოთავსებული პირები ძირითადად ჩაკეტილნი არიან თავიანთ ფლიგელებში და მხოლოდ განსაზღვრულ დროს, ცენტრის უსაფრთხოების თანამშრომელთან ერთად შეუძლიათ გავიდნენ ეზოში, სასადილოში, კომპიუტერისა და შეხვედრების ოთახში. დღის განმავლობაში ცენტრის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის ფონზე, ფლიგელები არ არის უზრუნველყოფილი დასვენებისთვის აუცილებელი საშუალებებით (მაგალითად, სამაგიდო თამაშებით, მაგიდის ჩოგბურთით და ა.შ),

დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები. ცენტრის თოთოეული ფლიგელი აღჭურვილია მცირე რაოდენობის წიგნებითა და ერთი ტელევიზორით, რომელიც ხშირად ხდება ცენტრში მოთავსებულ პირთა შორის კონფლიქტის მიზეზი. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიგრანტებს დღის განმავლობაში თავისუფლად უნდა ჰქონდეთ შენობის გარეთ ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა (მაგალითად, 1 საათზე მეტი ხნის განმავლობაში), რასაც ხელს უნდა უწყობდეს არსებული ინფრასტრუქტურა.⁹³ პრაქტიკაში ცენტრში მოთავსებული პირები დღეში მხოლოდ 1 საათით გაჰყავთ სუფთა ჰაერზე. ასევე, მათ შეუძლიათ დღეში ორჯერ 20-20 წუთის განმავლობაში ისარგებლონ კომპიუტერით. დაწესებულების ეზოში სასეირნო ტერიტორიის, კალათბურთისა და ფეხბურთის სათამაშო მოედნების არსებობის მიუხედავად, ეზო არ არის გადახურული და შესაბამისად შეუძლებელია მისი ცუდ ამინდში გამოყენება.

⁹⁰ ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, საემიგრაციო დაკავება CPT/Inf(2017)3, პარა, 5 (ღია რეჟიმი), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16806fbf12> [ბოლოს ნანახია: 01.03.2018].

⁹¹ განმეორებითი ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 22 დეკემბერს.

⁹² პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, გვ. 313 - 314, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.03.2018].

⁹³ ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, საემიგრაციო დაკავება CPT/Inf(2017)3, პარა, 5 (ღია რეჟიმი), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16806fbf12> [ბოლოს ნანახია: 01.03.2018].

პერსონალის ნაკლებობა იწვევს თანამშრომლების გადატვირთვას. პერსონალის სიმცირის გამო ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს ცენტრში მოთავსებული პირების სუფთა ჰაერზე უფრო მეტი ხნით გაყვანას. იმ ფონზე როდესაც პირს ცენტრში შეიძლება 9 თვე მოუწიოს ყოფნა, სახალხო დამცველის შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და რეჟიმი ვერ უზრუნველყოფს საქართველოდან გაძევების მიზნით მოთავსებული პირებისთვის ცენტრში მოთავსებით გამოწვეული ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებას.

ცენტრში მოთავსებული პირებისთვის სამზარეულოს მენიუები ხელმისაწვდომი არ არის.⁹⁴ მენიუებში არ არის გათვალისწინებული ხილი და ბოსტნეული. ცენტრში განთავსებული პირები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ საკვები უგემური და ერთფეროვანია, ხოლო ულუფა კი არასაკმარისია.⁹⁵ ადმინისტრაციის განცხადებით ცენტრში მოთავსებულებს არ ეძლევათ საშუალება შეიძინონ საკვები ცენტრის ტერიტორიაზე თანამშრომლებისთვის განკუთვნილ სასადილოში.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული და დასაბუთებული ექვს საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ღირსების პატივისცემის პირობებში.⁹⁶ სრული შემოწმების განხორციელებისას არ უნდა მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა.⁹⁷

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მონიტორინგისას მიიღეს ინფორმაცია, რომ ცენტრში მიღებისას უცხოელთა სამედიცინო შემოწმება/დათვალიერება ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს დაკავებულის ერთდროულ, სრულ გაშიშვლებას. ასევე, რამდენიმე დაკავებულმა ახსენა, რომ სრულ გაშიშვლებასთან ერთად მათ მოსთხოვეს ბუქნების გაკეთებაც.

⁹⁴ სამზარეულოში გამოკრული მენიუ ქართულ ენაზეა, სამზარეულოს თანამშრომლის თქმით, მისი თარგმნა არ ხდება.

⁹⁵ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელმოხდელი უცხოელების თქმით, ციხეში გაცილებით კარგი კვება იყო. გულისხმობენ, როგორც საკვების გემოს, ასევე ულუფის რაოდენობას.

⁹⁶ ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავრობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით განახორციელა, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: [http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":\["squat"\],"CPTSectionID":\["p-bgr-20140324-en-23"\]}](http://hudoc.cpt.coe.int/eng#{) [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

⁹⁷ ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავრობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპულმა კომიტეტმა (CPT), 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით განახორციელა, პარა. 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: [http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":\["squat"\],"CPTSectionID":\["p-cze-20140401-en-30"\]}](http://hudoc.cpt.coe.int/eng#{) [ბოლოს ნანახია: 02.03.2018].

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სრული შემოწმება განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემის პირობებში და მკაფიოდ დადგენილი პროცედურებით. შემოწმების განხორციელებისას აკრძალული უნდა იყოს ბუქნების გაკეთება, ხოლო სამედიცინო შემოწმება/დათვალიერებისას არ უნდა მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გამომწვლევა.

სამედიცინო მომსახურების კუთხით აღსანიშნავია, რომ პირველადი სამედიცინო შემოწმება არ მოიცავს გადამდები დაავადებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგს შესაბამისი ინსტრუმენტებით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს, რომ ექიმის ოთახში არსებული მედიკამენტების უმრავლესობას ვადა ჰქონდა გასული. ცენტრში არ არის დანერგილი ვადაგასული მედიკამენტების უტილიზაციის პროცედურები.

დაკავებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის თვალსაზრისით 2015 წელს განხორციელებული ვიზიტის მსგავსად⁹⁸ პრობლემურია გასაძევებელი უცხოელისთვის სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მიღების შეუძლებლობა.⁹⁹ ცენტრში არ ფუნქციონირებს საჩივრების ყუთი. წერილების გაგზავნისას არ არის დაცული კონფიდენციალურობა, რადგანაც უცხოელები არ არიან უზრუნველყოფილი კონვერტებით.

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები, რომლის თანახმად, განსაზღვრული იქნება, რომ გასაძევებელი უცხოელი უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე სათანადო სამართლებრივი დახმარებით

რეკომენდაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შემუშავდეს და ნორმატიულად დამტკიცდეს შემოწმების დეტალური პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სრული შემოწმების მხოლოდ კონკრეტული და დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე განხორციელებას და გამორიცხავს ერთდროულად სრულ გამომწვლელსა და ბუქნების გაკეთების მოთხოვნას

⁹⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში 2015, გვ. 318, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> [ბოლოს ნანახია: 16.02.2018].

⁹⁹ გაძევების მიზნით მიგრაციის ცენტრში მოთავსებული უცხოელი არ არის შეყვანილი „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა ჩამონათვალში.

- მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის დაწესებულების პერსონალის გაზრდის გზით, რათა ცენტრში მოთავსებული პირები პრაქტიკაში არ იყვნენ შეზღუდულნი დღის განმავლობაში სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობით, ასევე განხორციელდეს ეზოს აღჭურვა ფიზიკური დატვირთვისთვის აუცილებელი ინვენტარით
- ფლიგელებში გაიზარდოს ტელევიზორების რაოდენობა და ის აღიჭურვოს დასვენებისთვის აუცილებელი ინვენტარით; გაიზარდოს ფლიგელებში წიგნების რაოდენობა ცენტრში მოთავსებული პირების მიერ გამოყენებულ ძირითად ენებზე¹⁰⁰
- დაკავებულებს მიეცეთ შესაძლებლობა თავიანთი ხარჯით შეიძინონ საკვები ცენტრის ტერიტორიაზე თანამშრომლებისთვის განკუთვნილ სასადილოში
- მიიღოს ყველა ზომა, რათა პირველადი სამედიცინო შემოწმება მოიცავდეს გადამდები დაავადებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგს შესაბამისი ინსტრუმენტებით
- ცენტრში დაინერგოს ვადაგასული მედიკამენტების განადგურების პროცედურა
- ცენტრის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნის შესაძლებლობა¹⁰¹

6. ფსიქიატრიული დაწესებულებები

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა კვლავაც გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში.¹⁰² პრობლემას წარმოადგენს ფსიქიკური დახმარების ბიოფსიქოსოციალური¹⁰³ მოდელის პრაქტიკაში დანერგვა, სფეროს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განვითარება. პრობლემებია როგორც დაფინანსების, ასევე ადმინისტრირების კუთხით. წინამდებარე ქვეთავში, პირველ რიგში, მიმოხილული იქნება იმ ფსიქიატრიულ სტაციონარებში არსებული მდგომარეობა,¹⁰⁴ რომელთა მონიტორინგიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა, ასევე შევსებით ძირითად სისტემურ საკითხებს, რომელთა შესახებ საქართველოს სახალხო

¹⁰⁰ მათ შორის ისეთ ენებზე, როგორიცაა ინგლისური, რუსული, ფრანგული, ესპანური, არაბული, თურქული, ინდური და ბენგალური.

¹⁰¹ ცენტრის ტერიტორიაზე განთავსდეს საჩივრების ყუთები და ცენტრში მოთავსებული პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს დახურული კონვერტების ადების შესაძლებლობა.

¹⁰² იხ. ქვეთავი - „ფსიქიკური ჯანმრთელობა“.

¹⁰³ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, ფსიქიატრიული დახმარება გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის გამოკვლევა, მკურნალობა და დაავადების გამწვავების თავიდან აცილება, მისი სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

¹⁰⁴ ფსიქიატრიული დაწესებულებების ფოტოები [იხილეთ დანართში](#).

დამცველი წლების განმავლობაში გასცემდა რეკომენდაციებს¹⁰⁵ და რომლებიც დღემდე აქტუალურია.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ვიზიტები განახორციელა „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ (თბილისი), „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“¹⁰⁶, „სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაში“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (სოფელი ქუტირი), „სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში“ (ქალაქი სენაკი) და „რესპუბლიკურ კლინიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში“ (დაბა კახაბერი).

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა „სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაში“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ და „რესპუბლიკურ კლინიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში“ განხორციელებული ვიზიტების დროს პაციენტებისაგან მიიღეს არაერთი შეტყობინება პერსონალის მხრიდან ფიზიკურ ძალადობისა და სიტყვიერ შეურაცხყოფის შესახებ. „სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაში“ ჯგუფმა აღმოაჩინა დამამცირებელი მოპყრობის პრაქტიკა დაწესებულების ადმინისტრაციის მამაკაცი წარმომადგენლის მხრიდან, რაც ქალი პაციენტებისთვის პირადი ჰიგიენის დაცვის შესახებ არაკორექტული, არაეთიკური შეკითხვების დასმასა და ინტიმური ადგილების ჩვენების მოთხოვნაში გამოიხატება.

„სურამის ფსიქიატრიულ კლინიკასა“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“¹⁰⁷, ასევე რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს“ მწვავე განყოფილებაში, წინა წლებში არსებული მდგომარეობის მსგავსად, კვლავ პრობლემას წარმოადგენს პაციენტების უკიდურესად ცუდ პირობებში მოთავსება, ფიზიკური და ქიმიური

¹⁰⁵ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის სპეციალურ ანგარიშში, 2015 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3695.pdf> [ბოლოს ნანახია 02.03.2018].

¹⁰⁶ 2017 წლის 8 თებერვალს, „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრსა“ და „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ განხორციელდა საგანგებო ვიზიტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, გარკვეულიყო, ხომ არ გამოიწვია 2017 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის დაფინანსების მეთოდოლოგიის ცვლილების შემდეგ ზოგადი პროფილის დაწესებულებების მიერ ფსიქიატრიული დახმარების შეწყვეტამ მიმართვიანობის ზრდა და ცენტრების გადატვირთულობა. აღმოჩნდა, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მიმართვიანობა ერთი მესამედით გაიზარდა და დაწესებულება შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობდა. ამასთან, აღმოჩნდა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წელს ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ, ხსენებულ ცენტრებში მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.

¹⁰⁷ 2016-2017 წლებში დაწესებულებაში განხორციელდა რიგი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის დაწესებულებაში არსებული მძიმე მატერიალური პირობების ფონზე, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

შეზღუდვის¹⁰⁸ მეთოდების გამოყენების არსებული პრაქტიკა¹⁰⁹, სომატური დაავადებების დროული და ადეკვატური მკურნალობის ხელმიუწვდომლობა, უგულვებელყოფის პირობებში ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია და არანებაყოფლობითი სამედიცინო ინტერვენცია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, „სურამის ფსიქიატრიული კლინიკაში“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ და „რესპუბლიკურ კლინიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში“ არ არის ძალადობისგან დაცული, უსაფრთხო გარემო. ხშირ შემთხვევებში ადგილი აქვს პაციენტთა შორის კონფლიქტს, რაც ზოგჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად ფიზიკურ დაპირისპირებაში გამოიხატება.

სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება პრაქტიკა, როდესაც ინფორმირებული თანხმობის მიღება ხდება პაციენტისათვის დროულად სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაციის მიწოდების გარეშე. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ინტერვიუებული პაციენტები არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს მოთავსებისას ინფორმირებული თანხმობისთვის ხელი აქვს მოწერილი, მუდმივად ითხოვს სტაციონარიდან გაწერას. სტაციონარში მოთავსებაზე პაციენტის თანხმობა კვლავაც გაიგივებულია მკურნალობაზე თანხმობასთან და გრძელდება პრაქტიკა, როდესაც ფორმალურად ნებაყოფლობით, ხოლო რეალურად სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტები, სასამართლო კონტროლს მიღმა მყოფნი, ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების დაცვას. უდავოა, რომ თუ პირი სტაციონარში ნებაყოფლობით თავსდება, მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მკურნალობაზე¹¹⁰ და დატოვოს სტაციონარი¹¹¹. ამის საპირისპიროდ, ის ვერ ტოვებს დაწესებულებას და მის მიმართ გამოიყენება იძულებითი მედიკამენტური მკურნალობა და ფიზიკური შეზღუდვა, რაც ეწინააღმდეგება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პოზიციას, რომლის თანახმადაც, ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების გ ფიზიკური შეზღუდვა არ შეიძლება. თუ ფიზიკური შეზღუდვის საჭიროება არსებობს, დაუყოვნებლივ უნდა იქნას ინიცირებული

¹⁰⁸ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს ქიმიური შეზღუდვის განმარტებას და არც ქიმიური შეზღუდვის გამოყენების პროცედურას, მათ შორის, ამ ზომის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთების ვალდებულებას, არ განსაზღვრავს.

¹⁰⁹ სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ქიმიური შეზღუდვის შემთხვევები დაწესებულებებში ხშირია და არ ხდება შესაბამისად დოკუმენტირება. დაწესებულებებში არსებობს რუტინული პრაქტიკა, როდესაც ფიზიკურ შეზღუდვასთან ერთად გამოიყენება ქიმიური შეზღუდვა. არ ხდება ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების აუცილებლობის სათანადო დასაბუთება. ფიზიკური შეზღუდვის პროცესში სამედიცინო პერსონალთან ერთად სათანადო კვალიფიკაციის არმქონე არასამედიცინო პერსონალი, ხოლო, რიგ შემთხვევებში, პაციენტებიც კი მონაწილეობენ. ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მანკიერ პრაქტიკას ხელს უწყობს პერსონალის ნაკლებობა და, შესაბამისად, პაციენტებზე სათანადო მეთვალყურეობის უზრუნველყოფის პრობლემა, ასევე სათანადო ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის არარსებობის პირობებში მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობის გზით ფსიქიატრიული შემთხვევის მართვის შეუძლებლობა.

¹¹⁰ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი.

¹¹¹ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

პაციენტის სტატუსის (ნებაყოფლობითი/არანებაყოფლობითი) გადახედვის სამართლებრივი პროცედურა.¹¹²

წლების განმავლობაში სახალხო დამცველისა და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, დაწესებულებებში ფსიქიკური აშლილობების მართვა კვლავ ემყარება ფარმაცოთერაპიას და არ არის უზრუნველყოფილი ბიოფსიქოსოციალური მიდგომა. გრძელდება ძველი თაობის პრეპარატების გამოყენების პრაქტიკა¹¹³ და ანტიფსიქოზური პრეპარატების გვერდითი ეფექტების არასათანადო მართვა. ხარვეზებია სამედიცინო ჩანაწერების და ბარათების წარმოების კუთხით; სამედიცინო ბარათებში არ ხდება მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის მონაცემების ასახვა; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მოცულობა კვლავ უკიდურესად შეზღუდულია¹¹⁴, რაც განპირობებულია შესაბამისი საშუალებების და სპეციალურად მომზადებული პერსონალის ნაკლებობით. კვლავ პრობლემად რჩება პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია, სამუშაო პირობები და დაბალი ანაზღაურება. პერსონალთან არ მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული გადაწვის თავიდან ასაცილებლად.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პაციენტთა სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა. ასევე პრობლემურია პაციენტთა სომატური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით¹¹⁵ მომარაგების საკითხი. პაციენტების გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ხდება, ხოლო გეგმიური მომსახურება თანადაფინანსებას ითვალისწინებს, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ფინანსური რესურსების არარსებობის გამო. ამასთან, პრაქტიკულად ვერ ხერხდება ოჯახის ექიმთან კონსულტაციის ორგანიზება და შესაბამისი რეფერირება, რაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული გეგმიური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობას შეუძლებელს ხდის. გარდა ამისა, სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე არ ხდება, რაც დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია,

¹¹² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობას 2014 წლის 1-11 დეკემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 151.

¹¹³ წინა წლების მსგავსად, პრობლემად რჩება მედიკამენტების შესყიდვის საკითხი, რომელსაც ხელს უშლის როგორც ფსიქიატრიული დახმარების არასაკმარისი დაფინანსება, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო.

¹¹⁴ 2017 წელს არ გაზრდილა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისკენ მიმართული ფინანსური სახსრებიც (70.1 ათასი ლარი), რაც ვერ უზრუნველყოფს ამბულატორიულ და სტაციონალურ დონეზე რეაბილიტაციის ეფექტური მეთოდების გაცნობას, დანერგვას და მათ განხორციელებას.

¹¹⁵ სენაკის „სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის“ საპროცედუროში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა აღმოაჩინეს ვადაგასული მედიკამენტები: ნატრიუმის ქლორიდის 3 ცალი 500 მლ. ხსნარი, 10 ტაბლეტი „სოლიანი“ (amisulpride) 400 მგ., 6 ტაბლეტი „მედილოლ დარნიცა“. გარდა ამისა, დაწესებულებაში არსებულ რამდენიმე მედიკამენტზე არ იყო მითითებული ვარგისიანობის ვადები, კერძოდ, „პროზერინის“ 7 ცალი ამპულა (1 მლ.), „სოლიანის“ 5 ტაბლეტი (400 მგ.) და „ფევარინის“ 6 ტაბლეტი (100 მგ.). „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს“ მამაკაცთა განყოფილებაში ჰქონდათ „ციკლოდოლის“ აბები, რომელსაც მოჭრილი ჰქონდა ვარგისიანობის ვადის აღმნიშვნელი წარწერა და შეუძლებელი იყო წამლის ვარგისიანობის შეფასება.

შესაბამის პროგრამებში ცვლილებების შეტანის გზით, სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებული ყველა პაციენტის (მიუხედავად მოქალაქეობისა) სომატური დაავადებების მკურნალობა განხორციელდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

პაციენტებს დაწესებულებაში მოთავსების დროს უტარდებათ სისხლის და შარდის საერთო ანალიზი, „C“ ჰეპატიტის და აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკა, ასევე ხდება სისხლში გლუკოზის განსაზღვრა. გეგმიური სამედიცინო შემოწმება მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზის აღებას მოიცავს, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. დაწესებულებებში არ არის ორგანიზებული სკრინინგული გამოკვლევები. სტომატოლოგიური მომსახურება ძირითადად კბილის ესტრაქციით (ამოღებით) შემოიფარგლება, ხოლო რიგ შემთხვევაში კი მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელის მიცემით.¹¹⁶

ძირითად სისტემურ საკითხთა შორის უმნიშველოვანესია ფსიქიატრიულ დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს დებულებებს, რომელიც სათანადოდ არეგულირებს საჩივრების განხილვის პროცედურას და მონიტორინგის განხორციელების საკითხს. მიუხედავად ამისა, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც, სხვა კომპეტენციებთან ერთად, ახორციელებს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლს და მოქალაქეთა განცხადებების (საჩივრების) შესწავლას.¹¹⁷ უშუალოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო.¹¹⁸

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებობს სათანადო ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ზედამხედველობისა და

¹¹⁶ 2018 წლის 25-26 იანვარს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა სტომატოლოგი.

¹¹⁷ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁸ „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილების და „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილების N12 დანართების - „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (პროგრამული კოდი 35 03 03 01) - მე-7 მუხლის თანახმად, პროგრამის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო.

პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის პრობლემა¹¹⁹, ვინაიდან მოქმედი კონტროლის მექანიზმები ორიენტირებულია პაციენტების საჩივრებზე, რაც ფსიქიატრიული დახმარების ხარვეზებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტის გასაჩივრების სათანადო, პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი პროცედურის არარსებობის პირობებში, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო კონტროლის საჭირო ხარისხს. ამდენად, მნიშვნელოვანია არსებული მექანიზმების საქმიანობა გახდეს **რეგულარული, სისტემური და პროაქტიული**.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფორმალურად არის შიდა გასაჩივრებისა და უკუკავშირის პროცედურა, დამონტაჟებულია საჩივრების ყუთები, მაგრამ პაციენტები ამ პროცედურას და საჩივრის ყუთებს პრაქტიკულად არ იყენებენ. ინტერვიუებულმა პაციენტებმა არ იცნან საკუთარი უფლებები, ასევე არ აქვთ ინფორმაცია, თუ ვის უნდა მიმართონ საჩივრით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია ზომების მიღება შემდეგი სამი საკითხის მოსაგვარებლად: ა) პაციენტთა ინფორმირება მათთვის გასაგებ ენაზე პაციენტის უფლებების შესახებ; ბ) პაციენტთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, საჩივრების განხილვის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის შექმნა; გ) ჰოსპიტალში და ჰოსპიტალგარე პროაქტიული მონიტორინგის უზრუნველყოფა. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ასევე მიიჩნევს, რომ საჩივრების განხილვის პროცედურის ფარგლებში ვადებისა და სხვა პროცედურული საკითხების განსაზღვრისას, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პაციენტთა სპეციალური საჭიროებები და პრაქტიკული სირთულეები, რასაც შეიძლება წააწყდნენ პაციენტები გასაჩივრების უფლების რეალიზაციისას.¹²⁰

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით უმნიშვნელოვანესია მოხდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან იმ პაციენტთა გადაყვანა თავშესაფრებში, რომლებიც თავშესაფრისა და სოციალური მხარდაჭერის არქონის გამო, ხანგრძლივად იმყოფებიან სტაციონარში და არ გადიან აქტიურ მედიკამენტურ მკურნალობას. მაგალითად, „სურამის ფსიქიატრიული კლინიკის“ პერსონალის განმარტებით, პაციენტთა დაახლოებით ერთი მესამედი სამედიცინო ჩვენების გამო სტაციონარში მოთავსებას არ საჭიროებს და ეს პაციენტები გადაყვანილნი უნდა იყვნენ თავშესაფარში. სამწუხაროდ, ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი თავშესაფარი ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრშია (სოფ. ქუთური) და გათვლილია 100 ბენეფიციარზე. ამ თავშესაფარში ბენეფიციარები, თემისგან იზოლირებულნი, უკიდურესად ცუდ პირობებში იმყოფებიან. ამდენად, სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია სათანადო ყურადღება მიექცეს თავშესაფრების

¹¹⁹ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახელმწიფო ზედამხედველობის და კონტროლის სისტემაში არ მოვიაზრებთ პრევენციის ეროვნული მექანიზმს.

¹²⁰ გასაჩივრების უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემები მიმოხილულია სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 188-190, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf> [ბოლოს ნანახია 13.03.2016].

შექმნის საკითხს. სამწუხაროდ, მიუხედავად ფსიქიკური ჯანმრთელობის 2018 წლის პროგრამის დაფინანსების გაზრდისა¹²¹, თავშესაფრის ერთი ბენეფიციარის სადღელამისო ხარჯთან მიმართებით ამ ზრდამ მხოლოდ 2 ლარი შეადგინა.¹²² ამდენად, აუცილებელია შენარჩუნდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსების ზრდის ტენდენცია და 2019 წელს თავშესაფრის ბენეფიციარის სადღელამისო ხარჯების ოდენობა, სულ მცირე, გაუტოლდეს გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურების საწოლდღის ფასს.¹²³

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ 2018 წელს, როგორც მინიმუმი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოფს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით. სტაციონარიდან გასაწერ და სათემო სერვისებზე გადასამისამართებელ პირთა რაოდენობისა და მათი საჭიროებების განსაზღვრა შესაძლებელს გახდის საჭირო ფინანსური რესურსის ოდენობის განსაზღვრას. გასათვალისწინებელია, რომ სტაციონარში ხანგრძლივად მყოფი პაციენტების გაწერის შემთხვევაში ამ პაციენტების გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურებისთვის განკუთვნილი ფინანსური რესურსი გამოთავისუფლდება და შესაძლებელი იქნება ამ რესურსის პაციენტის სოციალური შემწეობის სახით გამოყენება, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ოჯახის მიერ პაციენტის სოციალური მხარდაჭერის ფუნქციის აღებას, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, არსებული ფინანსური რესურსი შეიძლება დაიხარჯოს პაციენტის თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის¹²⁴. თავშესაფრის მომავალ ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით აუცილებელია შემუშავდეს თავშესაფრების შექმნის გეგმა.

ბოლოს, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა და ეს პროცესი შეუქცევადი უნდა იყოს. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრა იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ხელი შეუწყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

¹²¹ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის დაფინანსება 2018 წლისთვის, წინა წელთან შედარებით, 5 მილიონი ლარით გაიზარდა.

¹²² 2017 წელს ერთ ბენეფიციარზე სადღელამისო ხარჯის სახით გათვალისწინებული იყო 15 ლარი, ხოლო 2018 წლისთვის ასეთი ხარჯი 17 ლარით განისაზღვრა.

¹²³ 2018 წლისთვის საწოლდღის ფასი შეადგენს 23 ლარს.

¹²⁴ სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, თავშესაფრის კომპონენტი სათემო სერვისად უნდა განიხილებოდეს.

- უზრუნველყოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, რათა მკაფიოდ განისაზღვროს საჩივრების განხილვის პროცედურა და ფსიქიატრიული დახმარების მიწოდების ზედამხედველობისა და პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის ჰოსპიტალგარე ზედამხედველობის/მონიტორინგის განხორციელების საფუძვლები
- შევიდეს ცვლილებები „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და განისაზღვროს ქიმიური შეზღუდვის განმარტება, საგამონაკლისო წესით მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურა, ასევე დადგინდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით ქიმიური შეზღუდვის დეტალური ინსტრუქციის დამტკიცების ვალდებულება
- შევიდეს ცვლილებები „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში და განისაზღვროს ფიზიკური შეზღუდვის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ფიზიკური შეზღუდვის შესახებ სპეციალურ რეესტრში (სპეციალურ ჟურნალში) ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალიზებული საიზოლაციო პალატა, ფიზიკური შეზღუდვის პროცესში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ფიზიკური შეზღუდვის დასრულების შემდეგ პერსონალის პაციენტთან გასაუბრების და გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება
- შევიდეს ცვლილებები „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში და განისაზღვროს, რომ ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა მიმართ, როგორც წესი, არ უნდა იქნას გამოყენებული ფიზიკური შეზღუდვის საშუალება, მაგრამ თუ არსებობს ფიზიკური შეზღუდვის უკიდურესი აუცილებლობა, დაუყოვნებლივ უნდა იქნას ინიცირებული პაციენტის სტატუსის (ნებაყოფლობითი/არანებაყოფლობითი) გადახედვის სამართლებრივი პროცედურა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- 2019 წელს თავშესაფრის ბენეფიციარის სადღეღამისო ხარჯების ოდენობა, სულ მცირე, გაუტოლდეს გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურების საწოლდღის ფასს
- მედიკამენტების ხარისხის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამტკიცდეს იმ ფსიქიატრიული დაწესებულებების (შპს) მიერ მედიკამენტების შესყიდვის სპეციალური წესი, რომელთა წილის 50 %-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო და განისაზღვროს, რომ ამ დაწესებულებებს შეუძლიათ მედიკამენტების გამარტივებული შესყიდვა.

საქართველოს პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- შეიმუშაოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა დაკითხვის გაიდლაინები; უზრუნველყოს პროკურორთა/გამომძიებლების მომზადება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა დაკითხვის სპეციფიკაში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და განახორციელოს „სურამის ფსიქიატრიული კლინიკასა“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ქუტირი) არსებული უკიდურესად მძიმე, ადამიანის ღირსების შემლახავი პირობების აღმოფხვრის გეგმა და უზრუნველყოს ამ დაწესებულებებში მყოფი პაციენტების მოთავსება ადამიანის ღირსებასთან თავსებად პირობებში და თერაპიულ გარემოში
- პაციენტთა შორის ძალადობის პრევენციისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეიქმნას ნორმატიული ბაზა, რომელიც დაარეგულირებს პერსონალის მიერ კონკრეტული პაციენტებიდან მომდინარე რისკების წინასწარი შეფასების სათანადო სისტემის დანერგვის, მულტიდისციპლინური მუშაობის, პაციენტების ძალადობისაგან დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების, პერსონალის მიერ პაციენტებზე სათანადო მეთვალყურეობის/დაკვირვების განხორციელების, პერსონალის სათანადო სწავლების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების და დეესკალაციის სტრატეგიის შემუშავების, ასევე საფრთხის წარმოქმნისთანავე დროული და ადეკვატური ინტერვენციის, ძალადობის შემთხვევების/ინციდენტების და საპასუხოდ გატარებული ზომების დოკუმენტირების, პერსონალის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს
- შევიდეს ცვლილებები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის N92/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციაში“ და განისაზღვროს ფიზიკური შეზღუდვის მაქსიმალური ხანგრძლივობა; ფიზიკური შეზღუდვის, მათ შორის ამ პროცესში პაციენტის ან/და პერსონალის მიერ მიღებული სხეულის დაზიანებების შესახებ სპეციალურ რეესტრში (სპეციალურ ჟურნალში) ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება; სპეციალური რეესტრის (სპეციალური ჟურნალის) ფორმა; ფიზიკური შეზღუდვის უშუალოდ განხორციელების შესახებ დეტალური ინსტრუქცია; ფიზიკური შეზღუდვის დროს გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების კონკრეტული მახასიათებლები; სად უნდა განხორციელდეს ფიზიკური შეზღუდვა და ვინ შეიძლება ესწრებოდეს ამ პროცესს; რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალიზებული საიზოლაციო პალატა; ფიზიკური შეზღუდვის პროცესში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ფიზიკური შეზღუდვის

დასრულების შემდეგ პერსონალის პაციენტთან გასაუბრების და გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება

- შესაბამის პროგრამებში ცვლილებების შეტანის გზით, სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტების (მიუხედავად მოქალაქეობისა) სომატური დაავადებების მკურნალობა განხორციელდეს სახელმწიფოს ხარჯზე
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით; თავშესაფრის მომავალ ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით შეიმუშაოს თავშესაფრების შექმნის გეგმა
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ზედამხედველობის და პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის არსებული სისტემის ეფექტიანობის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება
- უზრუნველყოს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფსიქიატრიული დაწესებულებების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი
- სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონალური დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან
- დანერგოს ფსიქიატრიული დახმარებასთან დაკავშირებული საკითხებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტის გასაჩივრების მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურა; ნორმატიული აქტით განსაზღვროს ყველა დაწესებულებისთვის სავალდებულო საჩივრების განხილვისა და უკუკავშირის ერთიანი ჰოსპიტალშიდა პროცედურა

7. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში და რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა განთავსების დაწესებულებებში

7.1. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის¹²⁵ თანახმად, 2017 წელს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში 88 ბენეფიციარი განთავსდა, მთლიანობაში კი მომსახურებას 314 ბენეფიციარი იღებდა. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული სპეციალური პრევენციული ჯგუფისა და სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის¹²⁶ შედეგად კვლავ გამოიკვეთა პრობლემები არასრულწლოვნების ძალადობისგან დაცვის, ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის, მათი სათანადო ემოციური და სოციალური განვითარების, განათლების უფლების სრულად უზრუნველყოფისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების მიმართულებით.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ზოგადად, ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობი, პოზიტიური, კომფორტული, ოჯახური საცხოვრებელი გარემოა შექმნილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ეს სურათი არათანაბარია და სხვადასხვა სახლებში განსხვავებულია. ხშირ შემთხვევაში, ბავშვზე ზრუნვის პროცესში ჩართული პირები ვერ ახერხებენ ბულინგის პრევენციას, კრიზისის დამლევას, ასევე, ფსიქოლოგიური ან ფსიქიკური პრობლემების დროულ შეცნობასა და შემთხვევის მულტიდისციპლინურ მართვას, რაც, თავისთავად, ბავშვებისათვის ადეკვატური დახმარების მიწოდებას ვერ უზრუნველყოფს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარების აკადემიური ცოდნის დონე, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება მათ ბიოლოგიურ ასაკს. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მათ აქვთ განათლების მიღების დაბალი მოტივაცია. წინა წლებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვზე ზრუნვის მოცემულ სერვისში მეტი ყურადღება ექცევა ინკლუზიური სწავლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის საკითხებს, თუმცა ინკლუზიური მიდგომა კვლავ მეტ ძალისხმევას საჭიროებს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებული პრობლემები, საგრძნობლად აფერხებს ბენეფიციარების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სრულყოფილად მომზადების პროცესს. მას შემდეგ, რაც ბენეფიციარები ტოვებენ მცირე საოჯახო ტიპის სახლს, განსაკუთრებით, 18 წლის შესრულების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, ისინი იმავე პრობლემებს აწყდებიან, რის გამოც

¹²⁵ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი №04/13442, 07/03/2018.

¹²⁶ 2017 წლის 19 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით

თავდაპირველად განთავსდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ. ეს უმეტესწილად იმით არის გამოწვეული, რომ არ არსებობს 18 წლის შემდეგ ზრუნვის სისტემიდან გასულ არასრულწლოვანთათვის მხარდაჭერის სისტემა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურება.

არასრულწლოვნების არაფორმალური განათლების პროცესში ჩართვა, მათ პროფესიულ თუ სხვა სახის განათლებაზე ზრუნვა უმეტესად დამოკიდებულია მცირე საოჯახო სახლის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ფინანსურ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე, რეგიონში შესაბამისი დაწესებულებების არსებობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი სახის აქტივობებში ბავშვის ჩართვისას გათვალისწინებული იყოს მისი ინტერესი და სურვილი, რაც ხშირად, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, არ ხორციელდება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა ცოდნის დონე, საკუთარი უფლებების, ასევე უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურების შესახებ, ძალიან დაბალია. ზრუნვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემატური საკითხების არასრულწლოვნების მონაწილეობით განხილვა არ არის წახალისებული. ასევე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში დასაქმებულ პირთა ცნობიერების დონე ბავშვის უფლებების, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის საკითხებზე.

7.2. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა განთავსების დაწესებულებებში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი ჩაატარა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა განთავსების დაწესებულებებში¹²⁷.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლავ¹²⁸ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში ბავშვებისათვის ოჯახურ

¹²⁷მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა 9 დაწესებულება: 1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი, 2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდი, 3. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის გოგონათა პანსიონი, 4. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის ვაჟების პანსიონი, 5. ქართველ მუსლიმთა კავშირის ქობულეთის ვაჟების პანსიონი, 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 7. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჩხერის მუნიციპალიტეტის საირხეს წმინდა ნინოს სახელობის სასულიერო სკოლა-პანსიონი, 8. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის ჯამესთან არსებული პანსიონი, 9. სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი.

გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული სერვისის მიწოდება და აღნიშნულ დაწესებულებათა ფუნქციონირება დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების გათვალისწინებით.

განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს მომსახურების დაახლოება ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აღნიშნულ დაწესებულებათა კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმი ბენეფიციართა დაწესებულებაში ჩარიცხვისა და განთავსების, მიწოდებული ზრუნვის სერვისში ბავშვთა ინდივიდუალური და სპეციფიკური საჭიროებების ასახვის, ბენეფიციარების ბიოლოგიურ ოჯახებთან ურთიერთობის ხელშეწყობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადების კუთხით, არ არის საკმარისად ეფექტიანი. რიგ დაწესებულებებში (განსაკუთრებით, მუსლიმური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონებში) არ ხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დაწესებულებას შორის კომუნიკაცია ბავშვთა განთავსებისა და მზრუნველობის საკითხებზე.

2015 წლის მონიტორინგის მსგავსად, 2017 წელს ჩატარებული შემოწმების შედეგებმაც ცხადყო, რომ აუცილებელია მომსახურებაში ჩართული პირებისა და ბავშვზე ზრუნვის პერსონალის გადამზადება ბავშვთა უფლებების, სახელმწიფო ზრუნვის სტანდარტებისა და რთული ქცევის მართვისა და პრევენციის სფეროში. ამასთან, მომეტებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ზრუნვაში მყოფ ბავშვთა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაზე, რაც, ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების დასაცავად მეტად მნიშვნელოვანია.

მონიტორინგის დროს შემოწმებული თითოეული პანსიონი არის დიდი ინსტიტუცია, შესაბამისად, არცერთ ამ დაწესებულებაში არსებული პირობები არ უახლოვდება ოჯახურ გარემოს. პანსიონთა საცხოვრებელ ოთახებში განთავსებულია სამზე მეტი ბენეფიციარი. პანსიონების ეზოებში არ არის შესაბამისი პირობები და ინვენტარი ბავშვების გასართობად. ამასთან, პანსიონების აღმზრდელებსა და ბავშვებს არ აქვთ ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფებისგან გამოწვეულ რისკებზე (საფრთხეებზე), მათი თავიდან არიდებისა თუ შემცირების შესაძლებლობებზე.

აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვები ჩართული არიან ზოგადი განათლების მიღების პროცესში, ისინი ირიცხებიან საჯარო სკოლებში, თუმცა, პრობლემურია, რომ რიგ

¹²⁸საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში“, 2015წ.

დაწესებულებებში არასრულწლოვნები ნაკლებად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კლასგარეშე და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში¹²⁹.

დაწესებულებებში რელიგიური სწავლებისა და თავისუფალი დროის დაგეგმვის მხრივაც განსხვავებული მდგომარეობაა. მაგალითად, ქართველ მუსლიმთა კავშირის ქობულეთის ვაჟების პანსიონში, ასევე, ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის გოგონათა პანსიონში, საგაკვეთილო პროცესის შემდგომ ძირითად აქტივობებს რელიგიური სწავლების სხვადასხვა კომპონენტები და რელიგიურ რიტუალში მონაწილეობა წარმოადგენს; დაწესებულებების წარმომადგენელთა ინფორმაციით, ეს ბავშვებისათვის ნებაყოფლობითი პროცესია. ბავშვები რელიგიურ რიტუალებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებშიც ასრულებენ. აქაც, ადმინისტრაციის განცხადებით, ეს პროცესი ნებაყოფლობითია და მასში ბავშვების ჩართვა არასრულწლოვანთა ასაკისა და განვითარების შესაბამისად ხდება. თავისუფალი დროის დაგეგმვისა და დასვენების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებებში კონტროლდება ბენეფიციართა მიერ ტელევიზორით, კომპიუტერით, ინტერნეტით და ტელეფონით სარგებლობა.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში არასრულწლოვანთა დასჯის ფორმებად კვლავ იყენებენ მეტანიებს და რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის აკრძალვას.

რეკომენდაციები

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოფილ იქნეს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარებისათვის თანაბრად პოზიტიური გარემოს შექმნა, ბავშვთა ზრუნვის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მსტ სახლის ბენეფიციარზე ზრუნვის პროცესზე ზედამხედველობის გაძლიერებითა და მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით
- ბავშვზე ზრუნვის პროცესში ჩართული პირები სისტემატურად გადამზადდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის, ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულვებელყოფის პრევენციისა და იდენტიფიცირების, რთული ქცევის მართვისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკითხებზე

¹²⁹ გამონაკლისს წარმოადგენს ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი, სადაც ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი კლასგარეშე აქტივობები და წრეები.

- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმართვის მიზნით - დროულად იქნეს უზრუნველყოფილი ქვეყანაში არსებული ყველა რელიგიური სკოლა-პანსიონის დეინსტიტუციონალიზაცია და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შემდგომი ლიცენზირება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად; ამ მიზნით ინფორმაცია მიეწოდოთ და შესაბამისი კონსულტაცია გაეწიოთ სკოლა-პანსიონებს ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებით;
- სისტემატური მონიტორინგი უტარდებოდეს რელიგიური სკოლა-პანსიონების ბენეფიციართა ზრუნვის პროცესს. ასევე, არასრულწლოვანთა ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დანერგვის, ბავშვზე ძალადობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის და შშმ ბავშვზე ზრუნვის საკითხებზე სერვისის მიმწოდებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

დანართი 1 - დამატებითი სტატისტიკური მონაცემები პენიტენციური სისტემის შესახებ

1.1. პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულის დაზიანებათა რაოდენობა

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულის დაზიანებათა რაოდენობა															
პენიტენციური დაწესებულება	თვითდაზიანება			სხვა პირის მიერ			საყოფაცხოვრებო			დაუზუსტებელი			სულ		
	2015	2016	2017	2015	2016	2017	2015	2016	2017	2015	2016	2017	2015	2016	2017
N2	533	624	384	100	129	101	236	246	183	7	6	2	876	1005	670
N3	0	180	190	0	9	3	16	23	26	3	0	0	19	212	219
N5	21	19	6	0	7	12	202	275	523	0	0	10	223	301	551
N6	353	387	178	0	3	16	27	68	63	0	246	14	380	701	271
N7	110	9	0	0	0	0	5	4	3	2	1	0	117	14	3
N8	771	482	409	79	36	70	396	215	274	54	0	12	1300	733	755
N9	0	0	1	0	0	1	6	9	8	0	0	1	6	9	11
N11	1	2	0	3	0	0	40	22	27	0	0	0	44	24	27
N12	2	2	2	1	1	1	9	5	18	0	2	0	12	10	21
N14	2	10	3	6	0	2	105	181	170	0	0	0	113	191	175
N15	42	6	12	2	0	1	214	162	177	0	4	4	258	172	194
N16	0	0	2	0	0	4	15	24	27	0	0	4	15	24	37
N17	56	15	8	3	4	1	168	216	186	3	2	0	230	237	195
N18	172	128	28	0	0	4	30	0	6	0	28	0	202	156	38
N19	57	28	17	4	0	0	21	32	25	15	4	8	97	64	50
ჯამი	2120	1892	1241	198	189	216	1490	1482	1716	84	293	55	3892	3853	3228

1.2. პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობები

პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობები	აქტივობებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით			
	N2		N8	
	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი
სახელობო/პროფესიული კურსები				
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი			8	
ოჯახური/მცირე სასტუმროს საქმის წარმოების შემსწავლელი კურსი	5			
სასტუმროს საქმის წარმოების შემსწავლელი კურსი	7			
საქმიან ურთიერთობათა კულტურა			8+19	
ქარგვის შემსწავლელი კურსი	6+5			
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი			9	
კომპიუტერის საბაზისო კურსი (Word,Excel,PowerPoint)	11+6			
გერმანული ენის შემსწავლელი კურსი			13	
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	7		13+20	
ქართული, როგორც მეორე ენა	3+2			
კომუნიკაცია			9	
მართვის მოწმობის შემსწავლელი თეორიული კურსი	7+5		3	
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები			20	
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია				
არტ თერაპია		7+6		7+5+9+11+4+4
ბიბლიოთერაპია	6			
ატლანტისი	7+7+6			
ბრაზის მართვა	7+9	3	10	4
კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება	8+4+3+5			
პენიტენციური სტრესის მართვა		3		10
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი		1		
აივ ინფექცია და შიდსი			50	12
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები	12+3+13+3+14+8+10+9+13+3+17+8+20+9		40+50	1+1+1+1+10+1+2+2+2+1
სტიგმა და დისკრიმინაცია	4			10
ტრეფიკინგი-მონობის თანამედროვე ფორმა	5		50	10

ტუბერკულოზი და მკურნალობაზე დამყოლობა	13			9
ჯანსაღი ცხოვრების წესი		5+2+4		
ჰეპატიტი B, C		2	50	12

გარდა ცხრილში მოყვანილი აქტივობებისა, N2 და N8 დაწესებულებებში ჩატარდა ფილმის ჩვენებები;

N8 დაწესებულებაში—ინტელექტუალური ვიქტორინები (სრულწ); „რა? სად? როდის?“ (სრულ); ლექცია—სემინარები სხვადასხვა თემაზე (არასრ); კონცერტები (არასრ); პრეზენტაციები სხვადასხვა თემებზე (სრულწ); პოეზიის საღამოები (სრულწ); შაშის ტურნირი (სრულ); მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი (სრულ); სხვა კულტურული ღონისძიებები (არასრ, სრულ);

N2 დაწესებულებაში —მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი (სრულ); შაშის ტურნირი (სრულ); ჭადრაკის ტურნირი (სრულ); სხვა კულტურული ღონისძიებები (სრულ);

რაც შეეხება **N9 დაწესებულებას** (რომელიც ასევე პატიმრობის და დახურული ტიპის დაწესებულებაა, 2017 წელს აღნიშნულ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობები არ განხორციელებულა.

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობები	აქტივობებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით			
	N12	N14	N15	N17
სახელობო/პროფესიული კურსები				
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი				7+15
კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი	16	11+10	12+17	8
კომპიუტერის საბაზისო კურსი (Word,Excel,PowerPoint)				7
საქმიან ურთიერთობათა კულტურა	20+29		11+16	
კომუნიკაცია	10		11	
ელექტრიკოსობის შემსწავლელი კურსი			8	
მინანქრის შემსწავლელი კურსი			10	
ხატერის შემსწავლელი კურსი				1+2+5
ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსი				3+2+1+2+1+1 +3+2+1+35+2+2
გიდობის (ტურიზმი) შემსწავლელი კურსი (კრედიტები)	18			
ვებ დიზაინის შემსწავლელი კურსი (ACT)			9	
მცირე ბიზნესის წარმოების შემსწავლელი კურსი (კრედიტები)			14	11
სასტუმროს საქმის წარმოების შემსწავლელი კურსი (კრედიტები)	33			
გერმანული ენის შემსწავლელი კურსი	11+12			7+13

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	15+21+14	11	17+33	12+31
ქართული, როგორც მეორე ენა	9		15+19	16
გალობის შესწავლა	12+4			23
მართვის მოწმობის შემსწავლელი თეორიული კურსი	28	7+10	15+37	8+22
მედავითნეობის შემსწავლელი კურსი	13			
მეწარმეობა	20		19	4
მეხილეობა			13	
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	10		10	6
ხატწერა (რეკრეაცია)				6+2+1
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები		6+6+8	8	15
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია				
არტ თერაპია		7		11+15
ბიბლიოთერაპია				13
გათავისუფლებისათვის მზადება	6+8		21	16
კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება	8+9		5	10
ნაბიჯი ცვლილებისკენ	9			
პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება	8+10			
სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი	5			11
"აივშიდისისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში"	9	12	12	
გაუმჯობესებული შესაძლებლობები პატიმრების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის	14			
სტიგმა და დისკრიმინაცია		4	10	11
ტრეფიკინგი-მონობის თანამედროვე ფორმა		6	4	13
ტუბერკულოზი და მკურნალობაზე დამყოლობა		15+5+10	8	13
ჯანსაღი ცხოვრების წესი			21	
ჰეპატიტი B, C		11+11+6+10	8	10
საქართველოს ევროინტეგრაციისა და ნატოში გაწევრიანების პროცესი			1	

გარდა ცხრილში მოცემული აქტივობებისა, N12, N14, N15 დაწესებულებებში ჩატარდა ფილმის ჩვენებები; N12 და N17 დაწესებულებებში ლექცია-სემინარი თეოლოგიურ თემებთან დაკავშირებით; პოეზიის საღამო;

N17 დაწესებულებაში –თეატრალური დასი (ნიგერიული ხმები); კონცერტი; ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსები; სპორტული წვრთნა–რეკორდი; ფრენბურთის მატჩი.

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებები	აქტივობებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით		
	N3	N6	N7
მეფუტკრე	2		
მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი	2		
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	2		
არტ თერაპია		8	
ბრაზის მართვა		5	
პენიტენციური სტრესის მართვა		8	

1.3. პენიტენციური დაწესებულებების სოციალური სამსახურის შემადგენლობა

დაწესებულება	პატიმართა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე		სოციალურ მუშაკთა რაოდენობა		ფსიქოლოგთა რაოდენობა		განყოფილების უფროსი		სოციალური სამსახურის შემადგენლობა ¹³⁰	
	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი
N2	1 218	1099	6	7	2	3	1	1	9 ¹³¹	11
N3	101	47	3	2	1	1	1	1	5	4
N5	266	253	7	7	2	2	1	1	11 ¹³²	10
N6	209	169	10	10	3	2	1	-	14	12
N7	29	14	1	1	1	1	1	1	3	3
N8	2 370	2 310	20	21	6	8	1	1	26	30
N9	39	37	1	2	1	-	1	-	3	2
N11	16	16	5	6	2	3	1	1	8 ¹³³	10
N12	280	269	3	3	1	1	1	1	5	5
N14	1 152	1 199	11	9	1	1	1	1	13 ¹³⁴	11
N15	1 706	1 805	13	13	1	2	1	1	15	16
N17	1 922	1 904	11	11	2	2	1	1	14	14

¹³⁰ 2017 წლის მონაცემები მითითებულია იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით.

¹³¹ ცხრილში მოცემულია 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემები, სოციალური სამსახურის შემადგენლობა იცვლებოდა წლის მანძილზე.

¹³² სოციალური სამსახურის შემადგენლობაში ასევე შედის 1 ბიბლიოთეკარიც.

¹³³ გარდა ცხრილში არსებულისა, სოციალური სამსახურის 2 თანამშრომელი (ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი) დეკრეტული შვებულებით სარგებლობდნენ.

¹³⁴ N14 დაწესებულებაში 1 სოციალური მუშაკის ვაკანსიაა.

N18	103	111	3	3	1	1	1	1	5	5
N19	101	86	4	4	1	1	1	1	6	6

1.4. დისციპლინური პასუხისმგებლობა პენიტენციურ დაწესებულებებში


დაწესებულება	პატიმართა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე		სამართლო საკანში მოთავსება		სხვა სახდელები		სულ	
	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი
N2	1 218	1 099	240	132	377	203	577	335
N3	101	47	15	5	909	1 256	924	1 261
N5	266	253	3	0	31	44	34	44
N6	209	169	14	0	466	322	480	322
N7	29	14	0	0	46	4	46	4
N8	2 370	2 310	391	50	1 717	1 282	2 108	1 332
N9	39	37	0	0	2	0	2	0
N11	16	16	0	0	0	1	0	1
N12	280	369	14	7	18	3	32	10
N14	1 152	1 199	57	50	3	0	60	50
N15	1 706	1 805	114	131	206	66	320	197
N16	89	123	3	6	16	14	19	20
N17	1 922	1 904	60	2	43	16	103	18
N18	103	111	0	0	78	37	78	37
N19	101	86	9	3	6	2	15	5
სულ	9 601	9 440	920	386	3 918	3 250	4 838	3 636

1.5. წახალისება პენიტენციურ დაწესებულებებში


დაწესებულება	2015 წელს წახალისების შემთხვევები	2016 წელს წახალისების შემთხვევები	2017 წელს წახალისების შემთხვევები	2015 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები	2016 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები	2017 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები
N2	270	95	68	17	0	6
N3	47	7	5	10	0	0
N5	147	51	67	26	33	18
N6	127	99	22	12	3	0
N7	0	5	2	0	0	0
N8	359	243	403	0	0	0
N9	6	8	5	0	0	0
N11	42	24	5	31	16	4
N12	33	33	86	0	0	9
N14	184	59	108	0	0	0
N15	579	463	473	11	32	32
N16	52	38	85	0	11	3
N17	462	292	284	0	0	0
N18	8	19	7	0	0	0
N19	8	24	13	0	0	1
სულ	2 324	1460	1 633	107	95	73

1.6. პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე


პატიმართა თვითშეფასებასა და საკნის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას შორის კავშირი




კავშირი სუფთა ჰაერზე ყოფნასა და პატიმრის ჯანმრთელობის თვითშეფასებას შორის




აუტოაგრესიის შემთხვევები დაწესებულების ტიპის მიხედვით




1.7. კავშირი პათიმრობის ხანგრძლივობასა და პათიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის




1.8. ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმირებულობა



1.9. ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმირებულობასა და ჯანმრთელობის თვითშეფასებას შორის კავშირი



1.10. პაციენტები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიატრის კონსულტაციას



დანართი 2 - დამატებითი სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ

2.1. საექვო შემთხვევების ხვედრითი წილი იზოლატორების მიხედვით

N	იზოლატორი	დაკავებული მონიტორინგის დროისთვის	ანკეტების ¹³⁵ რაოდენობა	მონიტორინგის ჩატარების დრო
1.	კახეთის რეგ. დმი (თელავი)	239	52 (21,7 %)	14.08.2017
2.	საგარეჯოს დმი	70	14 (20 %)	18.08.2017
3.	სიღნაღის დმი	98	9 (9,2 %)	15.08.2017
4.	ყვარლის დმი	169	34 (20,1 %)	15.08.2017
5.	იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგ. დმი (ქუთაისი)	346	51 (14,7 %)	12.07.2017
6.	ზესტაფონის დმი	113	12 (10,6 %)	14.07.2017
7.	ზაღდათის დმი	24	5 (20,8 %)	15.07.2017
8.	ჭიათურის დმი	33	7 (21,2 %)	14.07.2017
9.	სამტრედიის დმი	100	16 (16 %)	13.07.2017
10.	ამბროლაურის დმი	23	2 (8,7 %)	16.07.2017
11.	აჭარის და გურიის რეგ. დმი (ბათუმი)	1163	128 (11 %)	22-24.09.2017
12.	ქობულეთის დმი	128	12 (9,4 %)	25.09.2017
13.	ოზურგეთის დმი	92	13 (14,1 %)	27.09.2017
14.	ლანჩხუთის დმი	41	6 (14,6 %)	28.09.2017
15.	ახალციხის დმი	227	25 (11,1 %)	08.11.2017
16.	ხაშურის დმი	204	25 (12,2 %)	07.11.2017
17.	შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დმი (გორი)	536	58 (10,8 %)	06.11.2017
		სულ: 3606	სულ: 469 (13 %)	

¹³⁵ საქმის მასალებში არსებული საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებული ამოღების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი ინფორმაციის დასაფიქსირებლად სპეციალურად შემუშავებულ ანკეტას იყენებდა.

2.2. საექვო შემთხვევების ხვედრითი წილი იზოლატორებში წლების მიხედვით

N	საექვო შემთხვევების ხვედრითი წილი იზოლატორების მიხედვით	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
1.	კახეთის რეგ.დმი (თელავი)	14,7 %	21 %	21,7 %
2.	საგარეჯოს დმი	15,8 %	32,6 %	20 %
3.	სიღნაღის დმი	4,8 %	13,5 %	9,2 %
4.	ყვარლის დმი	9,7 %	27,3 %	20,1 %
5.	იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვ. სვანეთის რეგ. დმი (ქუთაისი)	15 %	39,1 %	14,7 %
6.	ზესტაფონის დმი	10 %	12,9 %	10,2 %
7.	ბაღდათის დმი	11,3 %	15,6 %	20,8 %
8.	ჭიათურის დმი	22,8 %	18,3 %	21,2 %
9.	სამტრედიის დმი	12,6 %	20,1 %	16 %
10.	ამბროლაურის დმი			8,7 %
11.	აჭარის და გურიის რეგ. დმი (ბათუმი)	10,4 %	11,7 %	11 %
12.	ქობულეთის დმი	16,9 %	7,7 %	9,4 %
13.	ოზურგეთის დმი	16,9 %	20 %	14,1 %
14.	ლანჩხუთის დმი	0	7,1 %	14,6 %
15.	ახალციხის დმი	23,9 %	9 %	11,1 %
16.	ხაშურის დმი			12,2 %
17.	შიდა ქართლისა და სამცხე- ჯავახეთის რეგიონალური დმი (გორი)			10,8 %

საეჭვო შემთხვევების ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით ბოლო სამი წლის განმავლობაში

რეგიონი	2015	2016	2017
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	14,2 %	19,9 %	14,5 %
კახეთი	11,9 %	23,6 %	18,9 %
გურია	15,4 %	17,4	14,3 %
აჭარა ¹³⁶	11,2 %	11 %	11,1 %
	სულ: 11,7 %	სულ: 15,7 %	სულ: 13,8 %

დაზიანების მიღების დრო

დაზიანების მიღების დრო	2016	2017
დაკავებამდე	427 (73,9 %)	276 (58,8 %)
დაკავებისას	121 (20,9 %)	157 (33,5 %)
დაკავების შემდეგ	22 (3,8 %)	7 (1,5 %)
ჩანაწერი არ არის	8 (1,4 %)	29 (6,2 %)
	სულ: 578	სულ: 469

დაზიანების მიღების დრო ასაკობრივ ჯგუფში

	17 წლის	18 წლის	19-25 წლის	26-45 წლის	46-60 წლის	60 წლის და მეტის
დაკავებამდე	3	0	81	164	23	3
დაკავებისას	0	1	32	66	10	1
დაკავების შემდეგ	0	0	0	5	1	0
დაკავებამდე და დაკავებისას	0	1	10	24	4	1

¹³⁶ 2016 წლის განმავლობაში ბორჯომის პოლიციის მიერ დაკავებული პირები ასევე თავსდებოდნენ ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო 2016 წლის სექტემბრიდან ბორჯომის იზოლატორი დაიხურა, ამასთან, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს 2016 წელს ხაშურის იზოლატორში არ განუხორციელებია ვიზიტი. მხოლოდ ბორჯომის იზოლატორში შემოწმებული შემთხვევები არ იძლევა სრულ სურათს ბორჯომის პოლიციის მიერ დაკავების შემთხვევების საერთო რაოდენობიდან, რამდენი შემთხვევა იყო საყურადღებო. ამდენად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მონაცემები ცხრილში არ შეგვიტანია.

დაკავებისას და დაკავების შემდეგ	0	0	0	1	0	0
დაკავებისას და დაკ. შემდეგ	0	0	2	3	1	0
ჩანაწერი არ არის	0	0	7	15	4	0

2.3. პრეტენზია პოლიციის მიმართ წლების მიხედვით

კოდექსი	პრეტენზია გააჩნია		პრეტენზია არ გააჩნია	
	2016	2017	2016	2017
ასკ ¹³⁷	62 (71,3 %)	65 (74,7 %)	333 (69,1 %)	211 (60,6 %)
სსკ ¹³⁸	25 (28,7 %)	22 (25,3 %)	149 (30,9 %)	137 (39,4 %)
	სულ: 87	სულ: 87	სულ: 482	სულ: 348

2.4. პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა

პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა	2016	2017
1-3 საათი	337 (59,8 %)	281 (61,3 %)
4-6 საათი	139 (24,6 %)	101 (22,1 %)
7-9 საათი	53 (9,4 %)	37 (8,1 %)
10-12 საათი	21 (3,7 %)	19 (4,1 %)
13-15 საათი	9 (1,6 %)	15 (3,3 %)
16-18 საათი	4 (0,7 %)	3 (0,7 %)
19 საათი	1 (0,2 %)	0
20 საათი	0	0
22 საათი	0	1 (0,2 %)
29 საათი	0	1 (0,2 %)
სულ:	564	458

¹³⁷ სისხლის სამართლის კოდექსი.

¹³⁸ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

დანართი 3 - ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობების ამსახველი ფოტო მასალა

„აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ სურამის
ფსიქიატრიული საავადმყოფო



პაციენტთა საცხოვრებელი კორპუსი



პაციენტთა საცხოვრებელი კორპუსის უკანა მხარე



საცხოვრებელი კორპუსის დერეფანი



სასადილო




საპირფარეშო



პალატა



პალატა



პალატა



პალატა



პალატა



პალატა



სამზარეულოს შენობა



სამზარეულო



პაციენტათვის განკუთვნილი საკვები

სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევრილოგიური დისპანსერი



შენობის გარე ფასადი და ეზო



პალატა



საცხოვრებელ კორპუსში შესასვლელი დერეფანი



სასადილო



სამზარეულო

რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო (დაბა კახაბერი)



I და II განყოფილებების შენობა და ეზო



პალატები



საპირფარეო I განყოფილებაში




საპირფარეო III (შერეულ) განყოფილებაში



სააბაზანო



სასადილო II განყოფილებაში



ახლად მოწყობილი საიზოლაციო პალატა



საერთო სივრცე III (შერეულ) განყოფილებაში



პალატა III (შერეულ) განყოფილებაში

აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილების დერეფანი



სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილების სასაეირნო ეზო



სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილების პალატა



სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილების პალატა



საპირფარეშო სასამართლო ფსიქიატრიულ განყოფილებაში

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ახალშენებული კორპუსი, სადაც
მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები

